ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“
+„მარკესი“
8 ლარი
15 ივნისიდან




პარასკევი, 17 ივნისი, 2011 №142 (5523) ფასი: 30 თეთრი

# „ხორცი მერაბიშვილმა და ადეიშვილმა გააძვირეს“





## პარლამენტი სააკაშვილის ნოტარიუსია

გვ.3

რვიანში განხეთქილება არ უნდა დავუშვათ



## ახალგორის რაიონს ქართველებისგან შეგნებულად ცლიან გვ.6

## კოკოითი დამთავრდა

გვ.4

ვინ შეიჭრა სამხრეთ ოსეთის პარლამენტში





## გვ.7 რვიანში განხეთქილება ხელისუფლებისთვის საჩუქარია

## ბაღათურია საპარლამენტო კომისიის გვ.3 შექმნას ითხოვს



## გვ.6 თუ რუსეთი ტერორისტია, მას არ უნდა დაველაპარაკოთ



გვ.5

## მემარჯვენეები ინდივიდუალურ მოლაპარაკებებზე თანახმა არიან

## ვინ დარჩება დაცვის გარეშე გვ.2

## ზემო ალვანელებს ნაციონალებმა გვ.4 სტალინი მოპარეს



## 3090
## sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** ალექსანდრე შალამბერიძემ „ხალხის პარტია“ დატოვა

**4** ახალი გადასახადის შემოღება მხოლოდ რეფერენდუმის გზით განხორციელდება

**5** „მრავალეროვანი საქართველო“ კულტურის მინისტრს რობერტ სტურუას განცხადებაზე რეაგირებისაკენ მოუწოდებს

**6** თბილისში 4 ათასი ოჯახი 20 წელია ბინების მშენებლობის დასრულების მოლოდინშია

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

შედით საიტზე atb.ge



# ხორცი მერაბიშვილმა და ადეიშვილმა გააძვირეს



**„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე ქვეყანაში არსებულ ინფლაციაზე, ხორცზე ფასების მომატებაზე ამახვილებს ყურადღებას და ხელისუფლებისგან არგუმენტებს ითხოვს, რატომ დადგა ასეთი შედეგი.**

ნათია ხურცილავა

დავით გამყრელიძე ხორცის ბიზნესის ირგვლივ შექმნილ ვითარებაზე მთელ პასუხისმგებლობას არა სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბაკურ კვეზერელს აკისრებს, არამედ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს — ძალოვან მინისტრებს, ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს.

— ბაკურ კვეზერელი არაფერს წყვეტს, არც სხვა მინისტრები, რეალურად ორი ძალოვანი მინისტრი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკასაც, შემოსავლებსაც. ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს მოვუწოდებ, კეთილი ინებონ და ანტიინფლაციური ნაბიჯები გადადგან, — მოუწოდებს ძალოვან მინისტრებს გამყრელიძე.

სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამყრელიძემ ინფლაციის მაჩვენებლებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ, პრემიერ-მინისტრისა და ეკონომიკის მინისტრის დაპირების მიუხედავად, ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი ძალიან მაღალია.

— ხელისუფლებისგან ველოდებოდით არგუმენტებს, რატომ დადგა ეს შედეგი ხორცის ფასების კატასტროფულ მატებასთან დაკავშირებით. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც რეკორდულად მაღალია ინფლაციის მაჩვენებელი. ასეთი მაღალი მაჩვენებელი არ ყოფილა, მიუხედავად იმ დაპირებებისა, რაც მოვისმინეთ პრემიერ-მინისტრისგან, ეკონომიკის მინისტრისგან, რომ ინფლაციის მაჩვენებელი დაიწევდა, — განაცხადა გამყრელიძემ.

ივნისში სოფლის მეურნეობის სურსათის უვნებლობის სამსახურის გადაწყვეტილება ამოქმედდა. „ახლების" ლიდერი მიიჩნევს, რომ ეს გახდა საფუძველი შექმნილი მდგომარეობის.

— რის საფუძველზეც ერთბაშად აიკრძალა ძროხის ხორცის გადამუშავება და რეალიზაცია, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ ორი სასაკლაოს — თელეთისა და ნატახტარის მეშვეობით, იმ ფონზე, როდესაც თბილისში 11 ლიცენზირებული საერთაშორისო სტანდარტების სასაკლაოა, მაგრამ 11-დან ორს მიეცა მუშაობის უფლება, დანარჩენებს კი — გაფრთხილება, რომ ხორცი არ გადაემუშავებინათ. ამბობენ, რომ თითქოს ეს ემსახურება ფასების დარეგულირებას. ხელოვნურმა რეგულაციამ გამოიწვია ბაზრის მონოპოლიზება, — ამბობს „ახლების" ლიდერი.

რამდენიმე თვის წინ „ახალმა მემარჯვენეებმა" ხელისუფლებას ხუთპუნქტიანი გეგმა შესთავაზა, რომ ინფლაცია დაძლეულიყო.

„ახლების" შეთავაზების პაკეტი ასე გამოიყურება:

ბიუჯეტში სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ბაზრის დემონოპოლიზაცია, ბიზნეს-ტერორის შეჩერება, სოფლისა და საკვები პროდუქტების წარმოებისთვის ხელშეწყობა.

— ამ მიმართულებით არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა. ჩვენ არ მოგვისმენია, რას აკეთებს და რას აპირებს ხელისუფლება ინფლაციასთან დაკავშირებით. გარწმუნებთ, ივნისის შედეგი რომ გამოქვეყნდება, ბევრად უფრო მძიმე შედეგები იქნება. წინა წელთან შედარებით, ხორცსა და ხორცპროდუქტებზე 23 პროცენტით მოიმატა ფასმა. ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზი ბაზრის მონოპოლიზებაა. ერთადერთი დარგი, სადაც ფასის კლებაა დაფიქსირებული სახელმწიფო მონაცემებით, კავშირგაბმულობაა. ეს ეხება პირველ რიგში მობილურ კავშირგაბმულობას, რადგან ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ბაზრის მონოპოლიზება მარტივი მიზეზის გამო — „მაგთი" ამერიკული კომპანიაა და ხელში ვერ ჩაიგდო, რაც ბუნებრივად იწვევს კონკურენციას. „ჯეოსელის", „ბილაინის" და ა.შ. ამ მიმართულებით 13 პროცენტით არის ფასების კლება დაფიქსირებული, დანარჩენი მიმართულებით კი ფასები გაზრდილია, რაც ბაზრის მონოპოლიის მცდელობის შედეგია, — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერს რამდენიმე მოთხოვნა აქვს: ერთ-ერთია ბაზრის დერეგულაცია, ასევე იმ წინადადებების გათვალისწინება, რომლებიც მათ უკვე დააყენეს.

— მოვითხოვთ ხორცის ბაზრის დერეგულაციას, როგორც აქამდე იყო. დაიკლას და მოხდეს ხორცის პროდუქტების რეალიზაცია, რაც ბუნებრივად გამოიწვევს დემონოპოლიზაციასა და ფასების დაკლებას. სამწუხაროდ, 7-8 ლარამდე ვერ დავა, მაგრამ, გარწმუნებთ, მაქსიმუმ 10 ლარი იქნება ის ღირებულება, რაც დაბრუნდება ამის შემდეგ. დერეგულაციის პირობებში არ მახსოვს, რომ მასობრივი მოწამვლის ფაქტები ყოფილიყო დაფიქსირებული. ამ ბაზრის რეგულირების შემდეგ „იბერულაში", რომელიც არის მთავარი მონოპოლისტი, დაფიქსირდა არაერთხელ გაფუჭებული ხორცის რეალიზაციის ფაქტი, — ამბობს გამყრელიძე.

გამყრელიძე ბიუჯეტის გადახედვაზე საუბრობს, რომ გადახედვა არსებული მონაცემებით მოხდეს.

— საზოგადოება, განსაკუთრებით ყველაზე დაბალშემოსავლიანი ნაწილი, არის მსხვერპლი იმ პოლიტიკისა, რომელიც ქვეყანაში ტარდება ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით და რომლის შედეგიც არის მაღალი ინფლაცია. ინფლაცია ნიშნავს, რომ ჩვენი შემოსავალი ყოველდღიურად უფასურდება. ინფლაცია ნიშნავს იმას, რომ დაბალშემოსავლიანი ადამიანები კიდევ უფრო ღატაკდებიან, რაც ძალიან მძიმე სოციალური აგრესიის მიზეზი შეიძლება გახდეს. ამავე დროს, ბიუჯეტი შედგენილ იქნა იმ პირობით, რომ ინფლაციის მაჩვენებელი 7 პროცენტი უნდა ყოფილიყო, შემდეგ ითქვა — 8 პროცენტი. დღეს ნათელია, რომ წლიური მაჩვენებელი ვერ იქნება ვერანაირად 7 და 8 პროცენტი. საჭიროა მოხდეს ბიუჯეტის გადახედვა სწორედ ამ მონაცემების მიხედვით, — განაცხადა გამყრელიძემ.

# ალექსანდრე შალამბერიძემ „ხალხის პარტია" დატოვა

გაზეთ „ვერსიაში" გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო „ხალხის პარტიის" პოლიტიკურმა მდივანმა ალექსანდრე შალამბერიძემ პარტიის რიგები დატოვა.

პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე შალამბერიძემ ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ არ სურს ხსენებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით ატეხილმა აჟიოტაჟმა ბზარი გააჩინოს ე.წ. პოლიტიკური „რვიანის" ერთობაში.



— ჩემ მიერ გაზეთ „ვერსიაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით ატეხილმა აჟიოტაჟმა, შეიძლება ბზარი გააჩინოს „რვიანის" ერთობაში. მიმაჩნია, რომ მთელი პასუხისმგებლობა ამ ინტერვიუზე უნდა ავიღო პირადად მე. ეს არის ჩემი შეცდომა. მე ვარ ერთ-ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი „რვიანის" პროცესისა, ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და ამ ცივილიზებული გზით სააკაშვილის ხელისუფლების ჩამოცილებისა. არ მინდა, რომ ჩემი ინტერვიუ გახდეს მიზეზი ერთობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისა. გამომდინარე აქედან, მე, როგორც „ხალხის პარტიის" პოლიტიკური მდივანი, მთლიანად ვაცნობიერებ რა პასუხისმგებლობას, ვიღებ გადაწყვეტილებას დავტოვო პარტიის რიგები, რათა ჩრდილი არ მიადგეს „ხალხის პარტიას", რომელიც ყოველთვის იყო, არის და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც იქნება ოპოზიციური ერთიანობის არა მხოლოდ მხარდამჭერი, არამედ ინიციატორიც, — განაცხადა შალამბერიძემ და დასძინა, რომ ამ ეტაპზე თავის სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზე საუბარი არ სურს, თუმცა ადასტურებს, რომ პოლიტიკაში რჩება.

შეგახსენებთ, რომ გაზეთ „ვერსიაში" დაიბეჭდა ალექსანდრე შალამბერიძის ინტერვიუ, სადაც ეს უკანასკნელი ჰყვება, „როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიან-დემოკრატები" რვიანის" მხრიდან სამოქალაქო აქტიურობის დაწყებას". ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ შალამბერიძეს ახსნა-განმარტებების გაკეთება მოსთხოვა და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ „რვიანის" წევრები ქრისტიან-დემოკრატების მიმართ ეჭვის თვალით ყურებას გააგრძელებენ, ისინი „რვიანში" ყოფნის საკითხს გადახედავდნენ.

ცნობისთვის: ალექსანდრე შალამბერიძე „ხალხის პარტიაში" 2009 წლის დეკემბრიდან ირიცხებოდა.

მედიანიუსი

# 26 მაისს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის გახსნის ნებართვას ითხოვენ

პარტია „თავისუფალი საქართველოს" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციამ ქუთაისის მერიას და საკრებულოს წერილით მიმართა, რათა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განიხილონ საკითხი ქუთაისის რომელიმე სკვერში გამოიყოს ადგილი, რათა „თავისუფალი საქართველოს" და საზოგადოების მხარდაჭერით და თანხებით აიგოს ხსოვნის მემორიალი 2011 წლის 26 მაისს დაღუპულთა უკვდავსაყოფად.

მედიანიუსი

# პუტინი შეწუხებულია



რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა შვეიცარიის პრეზიდენტ მიშელინ კალმირეის საქართველოსთან შუამავლობისათვის მადლობა გადაუხადა, — იუწყება „ლაიფნიუსი".

ჟენევაში გამართულ შეხვედრაზე პუტინმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობა შუამავლის დახმარებით უწევს.

ამის შემდგომ პრემიერის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობაში შვეიცარიის შუამავლობაზე უარის თქმის არ აპირებს.

მედიანიუსი

# ვინ დარჩება დაცვის გარეშე

ნანა მიშელაშვილი

**ვის დარჩება და ვის მოეხსნება დაცვა? ამ საკითხზე პარლამენტში მსჯელობა უკვე დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტს თანამდებობის პირებისთვის პერსონალური დაცვის მოხსნის შესაძლებლობა ეძლევა.**

პარლამენტში შესულია ახალი კანონპროექტი, რომელიც „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" კანონში ცვილებებს ეხება.

პოლიტიკური თანამდებობის პირების ნაწილს პერსონალური დაცვის დანიშვნა, კანონით აქვთ გარანტირებული. ნაწილს კი, მათ შორის: პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, პარლამენტის წევრს, საქართველოს მთავრობის წევრს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, საქართველოს სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირს სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებს, პრეზიდენტს შეუძლია დაცვა დაუნიშნოს.

კანონპროექტით პრეზიდენტს მათთვის დაცვის მოხსნის უფლებაც ენიჭება.

პრეზიდენტის ეს უფლებამოსლება გავრცელდება საქართველოში ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებსა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებზეც, დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელებზე და ყოფილ უმაღლეს თანამდებობის პირებზე.

ახალი კანონპროექტის ავტორი სახელმწიფო დაცვის სამსახურია, ინიციატორი კი — პარლამენტის თავდაცვის კომიტეტი.

კიდევ ერთი, იუსტიციის მინისტრს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს და ეროვნული უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს სახელმწიფო დაცვა კანონით აღარ ექნებათ გარანტირებული.

კანონით დასაცავ პირთა ჩამონათვალში დარჩებიან: პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, კათოლიკოს-პატრიარქი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ორგანოების ხელმძღვანელები, საქართველოში ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნის სახელმწიფო მეთაურები და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების პერიოდში.

კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, რომ კანონით დაწესდება პირადი დაცვის გამოყოფის საერთო წესი, რაც განხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ბაღათურია საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვს

**„ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ მედიაზე ზეწოლის ფაქტების გამოსაძიებლად პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა. მან ეს ინიციატივა გუშინ ექსპერტებს გააცნო.**

ნანა მიშელაშვილი



ჯონდი ბაღათურიას შეფასებით, თავისუფალ მედიაზე, ასევე ცალკეულ ჟურნალისტებზე, ტელეკომპანიებზე ხშირია თავდასხმისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები.

— დღემდე არ არის გამოძიებული ტელეკომპანია „იმედში" 2007 წელს სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრის საკითხი. ამასთან, შესაბამისი უწყებების მიერ ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტების ნაწილზე გამოძიება დიდი ხანია დაწყებულია, მაგრამ დღემდე არავინ დასჯილა, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ოპოზიციონერ დეპუტატს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხზე პარლამენტში საგამოძიებო კომისია აუცილებლად უნდა შეიქმნას, რათა ჟურნალისტებზე ზეწოლის არც ერთი ფაქტი დაუსჯელი არ დარჩეს.

პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიას შექმნა ბაღათურიამ სხდომაზეც მოითხოვა, თუმცა, მან პასუხი მიიღო, რომ კომისიის შექმნა რეგლამენტის მიხედვით ხდება და არა ერთი დეპუტატის მოთხოვნით.

ამ პარლამენტში ოპოზიციამ ვერც ერთ საკითხზე ვერ მიაღწია დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას. ისეთი პირი უჩანს, რომ ჯონდი ბაღათურიას წინადადება კომისიის შექმნის შესახებ გათვალისწინებული არ იქნება.

# საქართველოს ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში იტალიის დელეგაცია ეწვევა

17 ივნისს საქართველოს ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში იტალიის დელეგაციის წევრები ეწვევიან. დაგეგმილია მათი შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, თავდაცვის მინისტრ ბაჩანა ახალაიასთან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე თორნიკე გორდაძესთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილთან, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილთან, ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე გიორგი კანდელაკთან. ისინი ასევე დაათვალიერებენ საბჭოთა ოკუპაციისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებს. ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში იტალიის დელეგაციის წევრები საქართველოს 18 ივნისს დატოვებენ.

მედიანიუსი

# გრიგოლ ვაშაძე ლორი ბრისტოუს შეხვდა

საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გუშინ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორი ლორი ბრისტოუ მიიღო.




საგარეო საქმეთა სამინისტროში ასევე გაიმართა ბრისტოუს შეხვედრა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძესთან.

საგარეო უწყების ინფორმაციით, შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები.

ინტერპრესნიუსი

# პარლამენტი სააკაშვილის ნოტარიუსია

## რვიანში განხეთქილება არ უნდა დავუშვათ

ნონა ცაბა ე



**ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან**

***— ბატონო პაატა, როგორც ცნობილი გახდა, ხელისუფლებას მანიფესტაციებისა და მიტინგების გამართვასთან დაკავშირებით ახალი კანონები შემოაქვს. როგორი იქნება თქვენი შეფასებები, რა ხდება, კანონსაც თავის თავზე ირგებს სააკაშვილი?***

— ეს არის უაღრესად სიმპტომატური ქცევა ხელისუფლებისა. „ბრწყინვალე" ქცევაა, თუ საზოგადოებას აქვს უნარი, წაიკითხოს ხელისუფლების მოქმედება. ხელისუფლებამ მკაფიოდ და პირდაპირ თქვა, რომ მას ძალიან ეშინია ქართველი საზოგადოების, უაღრესად ეშინია. ეშინია ქართველი საზოგადოების ქუჩაში გამოსვლის და ამიტომ ასე პრიმიტიულად იქცევა, ასე ცდილობს, ყველა ხვრელი ამოქოლოს საზოგადოების მიერ ხელისუფლების გასტუმრებისა სხვადასხვა ფორმით. ეს არის ფანტასტიკური შეტყობინება საზოგადოებისათვის, რომ, ხალხნო, უძლური ვარ, უუნარო ვარ, არავინ არა ვარ და ჩამომაგდეთ. ხომ ხედავთ, როგორ მეშინია თქვენი. ეს პირდაპირი ტექსტია საზოგადოებისთვის. ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ საზოგადოებას ეშინია ასეთი ლაჩარი ხელისუფლების და ვერ ვხვდებით, რომ ასეთი ხელისუფლების ჩამოსაგდებად სულის შებერვაც კი საკმარისია. რა თქმა უნდა, საკმარისია, ოპოზიციურმა პარტიებმა გაითვალისწინონ ეს მანკიერი, ანტიადამიანური და პრიმიტიული ფორმა შეკრებისა და მანიფესტაციების შეზღუდვისა, რაც აშკარაა.

***— როგორი იქნება ამ ფაქტზე დასავლეთის რეაქცია?***

— მე იმედი მაქვს, რომ დასავლეთი ამაზე სერიოზულ განცხადებებს გააკეთებს და მომავალში სააკაშვილი მეოთხე თუ მეხუთე დემოკრატიული ტალღის დროს ამას ისევ უკან წაიღებს, მაგრამ დღეს, რა თქმა უნდა, დამაფიქრებელია ეს, რათა საზოგადოება უფრო მობილიზებული იყოს და მიხვდეს, რომ სააკაშვილს მისი ეშინია პირველ რიგში და მეორეც, ეფექტურად გამოიყენოს ის ადგილები და ფორმები, სადაც მაინც შეიძლება შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარება. ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ხელისუფლებას არ მისცეს საშუალება, რაღაცნაირად ბრალად დასდოს საზოგადოებას ამა თუ იმ ფორმით მიტინგების ჩატარება. მთავარი პრობლემა, იცით, რაში მდგომარეობს? ხელისუფლებას უნდა, მუდმივად პროვოკაციაზე წამოაგოს საზოგადოება, ისეთი პირობები შეუქმნას, რომ საზოგადოებამ დაარღვიოს წესი და შემდეგ დაარბიოს ისეთი სასტიკი ფორმით, როგორც ეს გააკეთა 26 მაისს. ხელისუფლებას უნდა, რომ მუდმივად დარბევის რეჟიმში გადაიყვანოს. მე მაინც მგონია, რომ ჯობია, მაქსიმალურად თავი შევიკავოთ მანიფესტაციებისაგან და მთელი ყურადღება გადავიტანოთ არჩევნებზე, არჩევნების ფორმატში მრავალათასიანი მიტინგები ჩავატაროთ კონკრეტულად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. უნდა გვქონდეს ერთი კონკრეტული თემა და ჩავატაროთ დაახლოებით 2-3-საათიანი მიტინგი და ქუჩებიც გადავკეტოთ. გამოსავალი ყოველთვის არსებობს. დღევანდელი ხელისუფლება ჰგავს მდიდარ მამაკაცს, რომელსაც დატერორებული ჰყავს ოჯახის წევრები და ახორციელებს საოჯახო ტერორს, ძალადობას და ამადლის თავის ოჯახის წევრებს, რომ მე თქვენ რემონტი გაგიკეთეთ, მე თქვენ კარგი სახლი გიყიდეთ და თან ცოლ-შვილს ყოველდღე ცემა აქვს გამოწერილი. აი, დაახლოებით ამ ტიპის ქცევები აქვს სააკაშვილს თავისი მოქალაქეების მიმართ. ჩვენ უნდა დავიმახსოვროთ, რომ ძალადობა მხოლოდ სისუსტის მაჩვენებელია. მხოლოდ ძლიერი სახელმწიფო და ძლიერი ხელისუფალი არ მიმართავს ძალადობას. მხოლოდ სუსტ სახელმწიფოებში ხდება ძალადობა და სწორედ ამან მოუტანა ტუნისს ის, რაც მოხდა ტუნისში და ეგვიპტეს — ის, რაც მოხდა ეგვიპტეში, რაც ხდება დღეს სირიაში და რაც ხდება ლიბიაში. საზოგადოებამ უნდა გაისიგრძეგანოს, რომ ეს არის ხელისუფლების სისუსტე, როცა ამ ფორმით ელაპარაკება თავის ხალხს და ლეგენდა, რომ მიშა მაგარია, როგორმე უნდა დავივიწყოთ. მიშა არ არის მაგარი. ის არის ლაჩარი სწორედ ასეთი ქცევის გამო.

***— თქვენც მიგაჩნიათ, რომ დამფრთხალი და შეშინებულია სააკაშვილი და იმიტომ ამკაცრებს კანონებს?***

— რა თქმა უნდა, ასეა, საზოგადოებამ უნდა გაითავისოს ეს და, უბრალოდ, გონივრულად უნდა მოიქცეს. მე არ დავიღლები ლაპარაკით და ვიტყვი, რომ ყველაზე ეფექტური, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, არჩევნებია, ოღონდ, ყველა რომ მიდის არჩევნებზე, მაშინ. სულ ცოტა, 80% როცა მიდის. თუ 80%-ზე ნაკლები მიდის, მაშინ „მიშა მაგარიას" ლეგენდა მყარდება და მას აქვს საშუალება მანიპულაციისა. ამიტომ, თუ საზოგადოებას მართლა უჭირს, თუ საზოგადოებაში მართლა არის პრობლემები, მაშინ რა გახდა არჩევნებზე მისვლა?! არსად წერია, რომ იკრძალება არჩევნებზე მისვლა, რომ ამას სჭირდება 20 მეტრის რადიუსით დაშორება, არსად წამლავენ გაზით, არც ტყვიებს არ უშენენ და არც წყალს ასხამენ. რა გახდა წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ არჩევნებზე მისვლა და ქვეყნისა და ხალხის გვერდში დადგომა?!

***— უნდა ვივარაუდოთ, რომ უპრობლემოდ შეიტანს კანონში ამ ცვლილებებს ჩვენი ხელისუფლება...***

— რასაკვირველია, მიიღებენ. ეს ხომ პარლამენტი არ არის. ეს არის სააკაშვილის ნოტარიული ბიურო. მიიღებენ, მაგრამ ეს არ არის პრობლება. ეს არ არის კარგი, მაგრამ ეს ააშკარავებს ამ ხელისუფლებას. ამით კარგად ჩანს, ვინ არის სააკაშვილი. ეს უნდა დავინახოთ და არ უნდა შეგვეშინდეს მისი. ის ააშკარავებს თავის სილაჩრეს.

***— თუმცა, ზღუდავს ჩვენს უფლებებს...***

— გეთანხმებით, რა თქმა უნდა, ზღუდავს, მაგრამ ეშინია და იმიტომ ზღუდავს. ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ეს, პირველ რიგში, მისთვის არის ცუდი. წესით, ის ამით საზოგადოების მობილიზაციას უნდა ახდენდეს, რომ საზოგადოებაში იყოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა, თავისი თავის, თავისი ოჯახის, თავისი სახელმწიფოს წინაშე.

***— თქვენ არჩევნების თემაზე საუბრობთ. მოდით, რვიანში მიმდინარე პროცესებიც განვიხილოთ. ამბობენ, რომ სერიოზული განხეთქილებაა ოპოზიციურ რვიანში, რომ პარტიები ვერ თანხმდებიან ამა თუ იმ საკითხებზე. „ახალი მემარჯვენეები" აცხადებენ, რომ ინდივიდუალური მოლაპარაკებებისთვის არიან მზად ხელისუფლებასთან. თქვენი აზრით, რით დამთავრდება ეს ყველაფერი და თუ იქნება რაიმე შედეგი?***

— რა შედეგებამდეც არ უნდა მიგვიყვანოს ყველაფერმა ამან, ჩვენთვის ყველაზე მიუღებელ შედეგებამდეც კი, არჩევნებს მაინც ალტერნატივა არ გააჩნია. ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა. რვიანის დღევანდელი მეცადინეობაა, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ნორმალური არჩევნების პირობების შექმნას, მაგრამ, თუ ეს არ გამოვიდა, არჩევნები მაინც უნდა ჩატარდეს. მართალია, შედარებით არანორმალური პირობები იქნება, მაგრამ ამან გული არ უნდა აგვიცრუოს, რომ არჩევნებზე არ მივდივართ. რვიანი მართლა იქცევა ღირსეულად, როცა არ ეშვება, ჩაბღაუჭებულია ხელისუფლებას და არ აძლევს ხელისუფლებას საშუალებას, თქვას მან, რომ მოლაპარაკებებზე არ მოდის ოპოზიცია. უნდა შემოდგომაზე? გავყვეთ შემოდგომაზე. უნდა ცალ-ცალკე ლაპარაკი? უნდა დაველაპარაკოთ ცალ-ცალკე, ანუ მას არ უნდა მივცეთ არანაირი საბაბი, რომ რაღაცა ფორმით გადმოაბრალოს ოპოზიციას პროცესის ჩაშლა. მთავარია, რვიანი შეთანხმდეს, რომ, ვინც არ უნდა დაელაპარაკოს სააკაშვილს საარჩევნო გარემოზე, ნებისმიერ შემთხვევაში მათი პოზიციები იქნება ერთიანი. იმ ლექსიკით ილაპარაკებენ, იმ პოზიციებითა და იმ სტანდარტებით, რაზეც შეთანხმდებიან რვიანში. ეს არის სწორედ უნიკალური ფორმულირება, რაც მათ გამოიმუშავეს. რვიანი მზად არის, ნებისმიერი ფორმატით ელაპარაკოს ხელისუფლებას, ანუ არ აძლევენ ხელისუფლებას საშუალებას, უარი ათქმევინონ მოლაპარაკებებზე. მუდმივად ხელისუფლებას აყენებენ უხერხულ მდგომარეობაში. მთავარია, საზოგადოებამ დაიჯეროს, რომ ეს კეთდება საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და შეუძლებელია ასეთი ჭრელი, ასეთი მრავალფეროვანი პოლიტიკური გაერთიანება მხოლოდ ერთი თემის გარშემო, როგორიც არის რვა პარტია საქართველოში. აბსურდულია საუბრები იმაზე, რომ ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ. საზოგადოებამ უნდა დაიჯეროს, რომ რვიანი ნამდვილად ზრუნავს ხალხზე. მათ შორის არიან ისეთი პარტიებიც, რომლებიც შედარებით ახლოს არიან ხელისუფლებასთან, არიან ისეთი პარტიები, რომლებიც არიან პარლამენტში, მათ შორის არიან პარტიები, რომლებიც იყვნენ ხელისუფლებაში, შეეძლოთ, დარჩენილიყვნენ იქ და თავის თავზე ეზრუნათ, ანუ უამრავ პარტიას აქვს ცალ-ცალკე სათქმელი, რომ მე რომ მდომებოდა მეტი კეთილდღეობა, მექნებოდა, მაგრამ, მე არ მინდა, ამ მანკიერ სისტემაში მოვითბო ხელი ხალხის ხარჯზე. ეს ნამდვილად ჩანს ამ რვიანში და ეს უნდა დავინახოთ. მხოლოდ მინუსებს კი ნუ ვეძებთ. ოჯახში არის ხოლმე ხშირად სხვადასხვა მოსაზრება ცოლსა და ქმარს შორის და მით უმეტეს ამხელა გაერთიანებაში ეს ჩვეულებრივი პროცესია ცოცხალ ორგანიზმში. წინააღმდეგ შემთხვევაში, რვა პარტია კი არ იქნებოდა, არამედ — ერთი. არსებობს განსხვავებები, მაგრამ ერთობისათვის მოტივაცია უფრო მეტია და ამის არდანახვა არ შეიძლება.

***— გაკეთდა ასეთი შეფასებებიც, რომ მას შემდეგ, რაც მარცხით დასრულდა ქუჩის აქციები, მთელი ყურადღება რვიანისკენ არის მიმართული. რვიანმაც განაცხადა, რომ იწყებს სამოქალაქო მოძრაობას, რაც ძალიან აშინებს ხელისუფლებას და სწორედ მის ინტერესებში შედის რვიანის დაშლა...***

— რა თქმა უნდა შედის, ბუნებრივია. ამიტომ ის ყველაფერს გააკეთებს, რომ შეიტანოს განხეთქილება. რვიანმა კი ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ეს განხეთქილება არ დაუშვას. ხელისუფლების მოქმედება არის ამორალური, მანკიერი, მაგრამ ლოგიკური, რვიანის მოქმედება უნდა იყოს ღირსეული და, ამავე დროს, ლოგიკურიც. ხელისუფლების ამორალიზმს მათ უნდა დაუპირისპირონ ღირსება. თუ ხელს გავანძრევთ, ყველაფერიც გამოვა.

***— ყველამ დავინახეთ, რომ დასავლეთმა მხარი არ დაუჭირა ქუჩის აქციებს. რამდენად დაუჭერს მხარს რვიანსა და საზოგადოებას?***

— დასავლეთი აქტიურად დაუჭერს მხარს, თუ დაინახავს მხარდასაჭერ ძალას და მხარდასაჭერი ძალა არის ხალხის ნება და სხვა არაფერი. ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიების მხოლოდ ლამაზი ლოზუნგები საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, ვინ დგას ამ ლოზუნგების და უკან და რა დგას. ამიტომ, თუ სააკაშვილმა მოახერხა ხელისუფლების შენარჩუნება და კონტროლი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, დასავლეთი ანგარიშს გაუწევს ამას. არ მოეწონება, გააკრიტიკებს, მაგრამ ანგარიშს გაუწევს. თუ ქართველმა ხალხმა გამოხატა მკაფიო ნება, რომ მას სააკაშვილი არ უნდა და სააკაშვილი ვერ აკონტროლებს სიტუაციას ამის გამო, აშკარად ჩანს, რომ ის არალეგიტიმურია. ჩვენ კეთილი უნდა ვინებოთ, ჩავუღრმავდეთ და დავინახოთ, რა რესურსებით აყალბებს სააკაშვილი არჩევნებს და მივხვდებით, რომ სულაც არ არის ეს დიდი რესურსები.

შედით საიტზე atb.ge



თეა მარხვაი ე

ამათგან არაფერს უნდა ველოდოთ, სამაგიეროდ, ჩვენთვის წართმეულ ტერიტორიებზე იქნება მაგარი ამბები. მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში რეგიონში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. განსაკუთრებით დიდი ხალისობა ცხინვალშია მოსალოდნელი. პრინციპში, სადაც კოკოითია, იქ გართობაც არის.

აქ გასართობი ღონისძიებები უკვე დაიწყო. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შემოდგომაზე პოლიტიკური თვალსაზრისით აქ პაპანაქება იქნება.

ოთხშაბათს მედია-საშუალებები ცხინვალში შეიარაღებული გადატრიალების მცდელობის შესახებ იუწყებოდნენ. რამდენიმე ათეული ადამიანი სამხრეთ ოსეთის პარლამენტის შენობაში შეიჭრა. ეს ადამიანები შეიარაღებული იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღით. იმდენიც ვერ მოიფიქრეს, რომ „რაგატკები" გამოეთალათ. ჰოდა, „რაგატკების" ნაცვლად „ბანძი" „კალაშნიკოვები" რომ დაიკავეს ხელში, იმიტომაც მიიღეს შედეგი.

ახლა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ედუარდ კოკოითიმ გენერალურ პროკურატურას დაავალა, ეს საქმე სამი დღის ვადაში გამოიძიოს. არადა, ყველაფერი მის გამო მოხდა. შეიარაღებული ჯიგიტები პარლამენტში კოკოითისადმი არსებული სიმპათიების გამო შეიჭრნენ.

პარლამენტში ექსკურსიაზე წასვლამდე ეს „ურაგატკოები" უზენაესი სასამართლოს წინ იდგნენ. სასამართლომ რეფერენდუმთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გამოიტანა. მოგეხსენებათ, რომ მავანს კონსტიტუციის შეცვლა სურდა, რომელიც კოკოითის შესაძლებლობას მისცემდა, მესამე ვადითაც ეყარა კენჭი. ამ საკითხთან დაკავშირებით რესპუბლიკაში რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო.

რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით თავდაცვის მინისტრის მოადგილე იბრაგიმ გასიევი გამოვიდა. მანვე მოაგროვა საჭირო ხელმოწერები, მაგრამ რად გინდა. უზენაესმა სასამართლომ თქვა, არაო.

ეზენაესის განაჩენამდე ერთი დღით ადრე კოკოითიმ თქვა, რომც ჩატარდეს რეფერენდუმი და მესამე ვადა დააწესონ, მე კენჭს არ ვიყრიო.

# კოკოითი დამთავრდა

## ვინ შეიჭრა სამხრეთ ოსეთის პარლამენტში

**მალე პოლიტიკური მკვდარი სეზონი დაიწყება. ჩვენი პოლიტიკოსები გასარუჯად და ნატანჯი ძვლების გასაჯანსაღებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას შეესევიან. წასვლის წინ დაგვიბარებენ, რომ პოლიტიკური ძალიან ცხელი შემოდგომა იქნება. ვისაც პოლიტიკური ციებ-ცხელება გიყვართ, ამათ იმედზე ნუ იქნებით. დაპირებული ცხელი შემოდგომა მომდევნო წლის გაზაფხულისთვის გადაიწევს. იქამდე იქნებ მოასწრონ „რაგატკების" გამოთლა.**



არადა, ცოტა ხნის წინ სხვანაირად ფიქრობდა კოკოითი, მაგრამ კრემლი ვის რას აცლის. შემოუთვალეს, დაამუხრუჭეო და ჯაბეიჩიც გაჩერდა.

ამასობაში კი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის მსგავსი ამბავი მოხდა. შეიარაღებული პირები სამხრეთ ოსეთის პარლამენტში შეცვივდნენ, რომლის სპიკერიც, სხვათა შორის, მესამე ვადის წინააღმდეგი იყო. მან ამასთან დაკავშირებით განცხადება მაისში გააკეთა. ჰოდა, ამიტომაც მოუხდა შეიარაღებული პირების მასპინძლობა.

სტანისლავ კოჩიევის სტუმრები ჯერ უზენაეს სასამართლოს ესტუმრნენ. როგორც ცხინვალის მკვიდრი ლიანა თედეევა ამბობს, ეს ადამიანები სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. მისი თქმით, ეს ადამიანები მოქმედი და ყოფილი სამხედროები იყვნენ.

სასამართლოდან ისინი პარლამენტთან მივიდნენ. მართალია, მოლოტოვის კოქტეილი და „რაგატკები" არ ჰქონდათ, მაგრამ შენობაში შეიჭრნენ. ოსური სააგენტო „რესის" მტკიცებით, არავითარი შეჭრა არ ყოფილა. ცნობისათვის: ეს სააგენტო პროკოკოითურია. სააგენტოს მტკიცებით, პარლამენტში საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები შევიდნენ, რომლებსაც თურმე დეპუტატებისთვის ხელი სულაც არ შეუშლიათ.

თვითმხილველები კი სულ სხვანაირად აღწერენ ამ ვიზიტს. მათი თქმით, ეს იყო შენობის აღება. პარლამენტი ალყაში მოაქციეს. ზოგიერთ დეპუტატს მობილური ტელეფონები წაართვეს, ზოგს — ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. ისინი დეპუტატებისგან წერილობით თანხმობას ითხოვდნენ იმაზე, რომ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა განეხილათ.

ოსური ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ძამბოლატ თედეევმა, ამ მოვლენას გადატრიალების კვალიფიკაცია მისცა.

— ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. პარლამენტში შევიდნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მინისტრის მოადგილე იბრაგიმ გასიევის მეთაურობით. ეს უკანასკნელი კოკოითისთან დაახლოებული პირია. ისინი დეპუტატებს იარაღით ემუქრებოდნენ. ამის გამო რამდენიმე დეპუტატმა თავის უფლებამოსილებაზე უარიც კი თქვა, — განაცხადა თედეევმა.

რა საინტერესო ხალხია ეს ოსები და განსაკუთრებით კოკოითი. მხოლოდ ეგ თუ მოიფიქრებდა ასეთ რამეს.

მომხდართან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა პარლამენტის სპიკერმა სტანისლავ კოჩიევმა. მან შეიარაღებული პირების სტუმრობას ანტიკონსტიტუციური აქტი უწოდა.

მან დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამმა დეპუტატმა თავის უფლებამოსილებაზე უარი თქვა. ერთ-ერთი მათგანი ვიცე-სპიკერი იური ძიცოითია. კოჩიევის თქმით, ამ სამი კაცისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს პარლამენტის სხდომაზე განიხილავენ.

მოკლედ, ცხინვალში საინტერესო ამბები ხდება. უფრო საინტერესო კი, როგორც ამბობენ, წინ გველოდება. კოკოითი პოლიტიკაში დარჩენას აპირებს და შეეცდება, რომ პრეზიდენტის პოსტზე თავისი კაცი გაიყვანოს. თუმცა, მას რუსეთის პოზიცია ექნება გასათვალისწინებელი.

მოსკოვში მისი ტინგიცობა უკვე ყელში ამოუვიდათ. ჩვენს ხელისუფლებას 2004 წელს სულელური კონფლიქტი რომ არ წამოეწყო, ჯაბეიჩი კარგა ხნის დავიწყებული იქნებოდა.

კოკოითი მესამე „სროკზე" უარს თავისი ნებით რომ არ იტყოდა, ეს ყველამ იცის. მას ეს გადაწყვეტილება რუსეთმა მიაღებინა. რუსეთი მისი ქმედებების მიმართ უკვე ღიად გამოხატავს უკმაყოფილებას.

ექსპერტების განმარტებით, ამაზე ნათლად მეტყველებს ვანუატუს მაგალითი. როგორც გვამცნეს, ამ პაწაწინა ქვეყანამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, სამხრეთ ოსეთი კი — ვითომც არაფერიო. ამ აღიარებების უკან რუსეთი დგას და საეჭვოა, მათ ცხინვალი შემთხვევით გამორჩენოდათ.

# ზემო ალვანელებს ნაციონალებმა სტალინი მოპარეს

თეა მარხვაი ე



ჩვენი ხელისუფლება სტალინს რომ ვერ იტანს, უკვე ვიცით. ისიც ვიცით, რომ ჩვენში ყველაფერი იკრძალება, რაც საბჭოთა კავშირის თავს გაგვახსენებს. ასე გია თორთლაძემ მოითხოვა. მას კი ჩვენი ხელისუფლება სერიოზულ ანგარიშს უწევს.

თავისუფლების ქარტიის (ესეც თორთლაძემ დაწერა) მიღების შემდეგ საბჭოთა სიმბოლოებზე ნადირობა დაიწყო. საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილია სტალინის ძეგლები. და ახლა როგორ გგონიათ, ნაციონალები ამ ძეგლებს გააჩერებენ?

გასაგებია, რომ ამ ძეგლებს იღებენ. შეიძლება, სტალინი არც არის ღირსი, რომ მისი ძეგლი საქართველოში იდგეს. და თუ ასეა, მაშინ რატომღა იღებენ მის ძეგლებს შუაღამისას, რისი ეშინიათ? ან იქნებ კარგად აქვთ დაცდილი ღამით დიდი მხედართმთავრის ძეგლის მოპარვა. ამ ნაციონალებს კაცი ვერაფერს გაუგებს. ეტყობა, მჩხიბავთან იყვნენ და ასე ურჩია.

სტალინის ძეგლი ღამით პირველად გორში მოიპარეს. გორელების დამოკიდებულება სტალინისადმი გასაგებია და ამას დიდი ამბები მოჰყვებოდა. აი, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში რატომ გამოვიდნენ ღამე მოსაპარად, ძნელად ასახსნელია.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქაურები სტალინის დიდი ფანები არ არიან. სხვა თუ არაფერი, სტალინის რეპრესიულმა მანქანამ შეიწირა შესანიშნავი ქართველი პოეტი, ადამ ბობლიაშვილი, რომელიც წარმოშობით სწორედ ზემო ალვანიდან არის. საკვირველი ისიც არის, რატომ შემოინახეს თუშებმა ამდენი ხანი სტალინის ძეგლი. კიდევ უფრო საკვირველი ნაციონალების ქმედებაა. მართალია, ამას ისინი არ აღიარებენ, მაგრამ მათ გარდა ამას ვინ გააკეთებდა. იქნებ სახალხო კრებამ გააკეთა ან რომელიმე ბოროტმა ოპოზიციურმა ძალამ?

ახმეტის საკრებულოსა და გამგეობის წევრები გუშინ მთელი დღის განმავლობაში ამტკიცებდნენ, რომ სტალინის ძეგლის გაქრობის შესახებ არაფერი იცოდნენ. რა ვიცი, ამათ რომ ჰკითხო, ისიც იციან, ჭიანჭველა სად და რა მიმართულებით გადაადგილდება და დავიჯერო, 5-მეტრიანი ძეგლის გადაადგილება ვერ გაიგეს?

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, სტალინის ძეგლის აღების ოპერაცია ზემო ალვანში ღამის პირველ საათზე დაიწყო. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ 1 საათს გასტანა. ღამის 2 საათისთვის ზემო ალვანი უკვე თავისუფალი იყო სტალინისაგან.

ძეგლის გაქრობის ამბავი თუშებმა გუშინ დილით შეიტყვეს და გულს შემოეყარათ. ეს ხალხი სტალინის ფანები არ გეგონოთ, მათ, უბრალოდ, ეწყინათ ბელადის გაქრობა, განსაკუთრებით — უფროს თაობას. მათ ამ ძეგლის გადასარჩენად ბევრი რამე აქვთ გაკეთებული.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ზემო ალვანის მცხოვრებლებმა განუცხადეს, ძეგლი ხრუშჩოვის მმართველობის დროს თივის ზვინის ქვეშ ჰქონდათ დამალული და განადგურებას ისე გადაარჩინეს. წლების შემდეგ გამოაჩინეს და სოფლის ცენტრში დადგეს. ეროვნული მოძრაობის წლებში სტალინის ძეგლს თავი რამდენჯერმე მოაცალეს, თუმცა, სოფლის მცხოვრებლებმა აღადგინეს.

— ახლა ისე „მოქესტეს", რომ ვერ გავიგეთ. არაფერი ვიცოდით. სად წაიღეს, ეგეც არ ვიცით. ძეგლი რას უშლიდათ, ყოფილიყო. სოფლის გამგებელმა გვითხრა, კანონი მიიღეს და ვალდებულები ვართ, საბჭოთა ძეგლები მოვსპოთო, — აღნიშნეს ზემო ალვანის მცხოვრებლებმა.

ისე, ესენიც კარგი ტიპები არიან — ხომ გაიგეს, რომ თორთლაძის მოთხოვნით ყველაფერი საბჭოური იკრძალებოდა. ამდგარიყვნენ და ისევ თივის ზვინში დაემალათ. არა, ეგ ამბავი აღარ გამოუვიდოდათ, იმიტომ რომ ჩვენი ვანო მერაბიშვილი თივის ზვინებსაც აკონტროლებს.

სტალინის გადასამალი ადგილების შესახებ კარგად იქნებოდა ინფორმირებული ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი პეტრე ცისკარიშვილი, რომელიც აქაურებს მართლა ძალიან უყვართ. ეს ადამიანები ნერვებისმომშლელ განცხადებებს კი აკეთებს, მაგრამ ნამდვილად კარგი მაჟორიტარია.

ჰოდა, თუ კარგი მაჟორიტარია, ამ ზემო ალვანელებმა რაღას მოაწყვეს აქცია, 200 კაცი რომ გამოვიდა ქუჩაში და ხელისუფლების გმობა დაიწყო. ცისკარიშვილი, რა, ხელისუფლება არ არის? ჰოდა, თორთლაძეს თუ არ სცემთ პატივს, ცისკარიშვილი მაინც დააფასეთ.

ისე, ცისკარიშვილზე რადგან ჩამოვარდა საუბარი, ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. გასული წლის ზაფხულში „ახალი მემარჯვენეები" თავიანთ ლიდერ დავით გამყრელიძესთან ერთად მთა-თუშეთში ისვენებდნენ. საცხენოსნო ტურის შემდეგ წყლის დასალევად სოფელ შენაქოში შეჩერდნენ. ეს წყალი, სხვათა შორის, ცისკარიშვილმა გამოუყვანა შენაქოელებს. წყალი კარგად მოდიოდა და, როგორც კი გამყრელიძე ონკანს მიუახლოვდა, წყალი შეწყდა. ვიდრე ოპოზიციონერები იქ იყვნენ, წყალი არაფრით არ მოვიდა, მათი წასვლა და წყლის წამოსვლა კი ერთი იყო.

მართალია, ამ ამბავს არავითარი შეხება არა აქვს ზემო ალვანელების ნალოლიავებ სტალინთან, მაგრამ მაინც მოგიყევით. საინტერესო ისტორიააა.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ახალი გადასახადის შემოღება მხოლოდ რეფერენდუმის გზით განხორციელდება



საქართველოს მთავრობამ პარლამენტს ახალი ორგანული კანონპროექტი „ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ" წარუდგინა. კანონპროექტი დღეს დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრებს, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, დიმიტრი ძაგნიძემ გააცნო. მომხსენებლის განცხადებით, ნორმატიულ აქტში თავმოყრილია ყველა ის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, რომელიც საქართველოში ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა.

კანონპროექტით განსაზღვრულია საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების დადგენაში საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობის ნორმები, რომლის თანახმადაც, ახალი გადასახადის შემოღება, გარდა აქციზის და დროებით დაწესებული გადასახადისა, მხოლოდ რეფერენდუმის გზით განხორციელდება. წარმოდგენილ დოკუმენტით ასევე დგინდება მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვარი, ბიუჯეტის უნივერსალურობის პრინციპი და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება.

კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი მელაძის შეფასებით, ორგანული კანონპროექტი მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის კიდევ უფრო ლიბერალური გარემოს შექმნას.

— ახალი გადასახადის რეფერენდუმის გზით დადგენა ბიზნესმენს და ინვესტორს თავს კიდევ უფრო დაცულად აგრძნობინებს, — განაცხადა გიორგი მელაძემ.

ამ საკითხზე უახლოეს მომავალში პარლამენტის პლენარული სხდომა იმსჯელებს.

მედიანიუსი

# მემარჯვენეები ინდივიდუალურ მოლაპარაკებებზე თანახმა არიან

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციური „რვიანის“ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმა ისევ გრძელდება. დაიშლება თუ არა „რვიანი“ თუ ისევ განაგრძობს არსებობას? ეს არის ის კითხვები, რომლებიც დღეს პოლიტიკური თვალსაზრისით აქტუალურია. შეიძლება ითქვას, უფრო მეტად აქტუალური, ვიდრე ის საკითხი, „რვიანი“ შეძლებს თუ არა მიზნის მიღწევას ანუ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.**

მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანიამ ერთი დღით გაუსწრო მოვლენებს და ფართომასშტაბიანი აქციები დააანონსა, „რვიანში“ შემავალმა პარტიებმა სხვადასხვა ენაზე იწყეს ამეტყველება. თუმცა, ეს არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი, რადგან ამ პარტიებს არაფერი აქვთ საერთო, გარდა ერთი მიზნისა, რომ საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს ქვეყანაში. თუმცა, დღეს ეს პროცესი ჩიხშია შესული. ხელისუფლება აღნიშნულ საკითხზე დუმს, მოლოდინის რეჟიმშია, „რვიანი“ კი ხალხთან აპირებს გასვლას და საჭიროების შემთხვევაში მათ აქციაზეც ეპატიჟება.

უკვე კარგად არის ცნობილი, რომ განვლილი გზის თავიდან გავლას არ აპირებს დავით გამყრელიძე.

დავით გამყრელიძე ოპოზიციური „რვიანის“ ირგვლივ შექმნილ არსებულ ვითარებაზე საუბრობს.

— ინდივიდუალური მოლაპარაკებები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დაშლას, პირიქით. ჩვენ ამ ინიციატივით გამოვდივართ, იმიტომ რომ გადავარჩინოთ „რვიანი“, როგორც ფორმატი და ის იდეა, რომლისთვისაც შეიქმნა „რვიანი“. ჩვენი მიზანი თავიდანვე იყო და არის შედეგის მიღწევა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით და არა სხვა პრობლემების მოგვარება, რომლებიც მრავლად არის ამ ქვეყანაში და რომლებზეც სათითაოდ თითოეული პარტია აქტიურად უნდა ზრუნავდეს. მე მგონი, შესაძლებლობების ფარგლებში ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, ჩვენსას ვცდილობთ და ვეცდებით კიდეც, — განაცხადა გამყრელიძემ.

გამყრელიძის განმარტებით, ინდივიდუალური მოლაპარაკებები არის გამოძახილი იმ განცხადებებზე, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობის წევრებისგან მოდის.

„მემარჯვენეების“ ლიდერი უმრავლესობის იმ გვარებსაც კი ასახელებს, რომლებმაც „რვიანს“ მოლაპარაკების აღნიშნული მეთოდი შესთავაზეს.

— ინდივიდუალური მოლაპარაკება არის გამოძახილი იმ გამონათქვამებზე, რომლებიც გვესმის ხელისუფლების მხრიდან ბოლო დღეებში, მაგალითად, მაჭავარიანის, აკაკი მინაშვილის საპარლამენტო უმრავლესობის სხვა წარმომადგენლებისგან. როგორც ისინი ამბობენ, არსებობს მათი მზაობა სხვადასხვა მიმართულებით, შემხვედრი ნაბიჯების, გამოსავლის პოვნის, კონსენსუსის მიღწევის. აქედან გამომდინარე, გვაქვს სურვილი, რომ მოვსინჯოთ, ვცადოთ და მივიღოთ შედეგი. საზოგადოება მთელი ამ წლების განმავლობაში დაიღალა უშედეგობით, ოპოზიციური აქტივობის ურეზულტატობით. ამ შემთხვევაში „რვიანის“ მიზანიც, ისევე, როგორც „რვიანში“ შემავალი თითოეული პარტიის მიზანი უნდა იყოს შედეგის მიღწევა სწორედ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ შედეგზე ვართ ორიენტირებული და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს შედეგი იქნეს მიღწეული, — განაცხადა „ახლების“ ლიდერმა.

დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ შედეგი მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება გადმოდგამს ნაბიჯს.

— შედეგი მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება კონკრეტულ ნაბიჯებს გადმოდგამს. „რვიანში“ არის იმის მზაობა, რომ რეალურად გადმოდგმული ნაბიჯები გაზიარებულ იქნეს, — აღნიშნა გამყრელიძემ.

დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ ისინი „რვიანის“ ფორმატში რჩებიან, სანამ კონკრეტული შედეგი არ დადგება.

— მაისის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა ინფორმაციის გაცვლა შეწყვიტა. ვაკუუმში ვართ. არ გვაქვს ინფორმაცია, აქვთ თუ არა რამე მზაობა. ისიც პასუხია, რომ ვიცოდეთ, ხელისუფლება არაფერს აპირებს, რომ მზად არ არის, ეს ჩვენ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაში დაგვეხმარება. შედეგი არის ყველანაირი — ცუდიც და კარგიც. იმედი მაქვს, რომ შედეგი შეიძლება იყოს კარგი, თუმცა, დარწმუნებული არ ვარ. ყველა გზა უნდა მოვსინჯოთ, რომ ხელისუფლებას ღიად ჩამოვაყალიბებინოთ თავისი პოზიცია. მერე რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, ვის მოეწონება, ვის არ მოეწონება, ეს მომავალში გამოჩნდება, — აღნიშნა გამყრელიძემ.

„რვიანის“ გაფართოებასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აქვთ „ახლებს“. ამის შესახებ გუშინ განაცხადა დავით გამყრელიძემ.

— ჩვენ მხარს არ ვუჭერთ და არც ვაპირებთ აქციების გზით ბრძოლას, რადგან ამ გზამ ამ ეტაპზე ამოწურა თავისი შესაძლებლობები, აზრი. განსხვავებული აზრი გვაქვს ასევე გაფართოებასთან დაკავშირებით. „რვიანში“ არასდროს ყოფილა სხვა ტიპის აქტივობებთან დაკავშირებით შეზღუდვა. „ეროვნული ფორუმი“, „ეროვნულ საბჭოში“ შემავალი პარტიები აქტიურად იყვნენ ჩართულნი „სახალხო კრების“ 25 ნოემბრის შეკრებაში. დამფუძნებლებიც იყვნენ და წარმომადგენლობით ორგანოებშიც იყვნენ არჩეული, შემდეგ დატოვეს, მაგრამ ამას არანაირი დისონანსი არ შეუტანია „რვიანში“ და ჩვენ არ დაგვიყენებია პრეტენზია, ვინ, რატომ, სად მონაწილეობდა. ყველა პარტია ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას. ეს არ არის არანაირი პოლიტიკური ერთობა, ყოველ შემთხვევაში — ჩვენთვის. „რვიანის“ ბაზაზე თუ ერთობა ჩამოყალიბდება, არავინ ზღუდავს, ისევე, როგორც ფორუმს აქვს ბლოკი აკაკი ასათიანთან, გუგული მაღრაძესთან, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, ამ პარტიასთან ერთად ვმსჯელობთ და ვწყვეტთ საკითხს. რაც შეეხება საარჩევნო მოლაპარაკებებს, ჩვენ ერთგულნი ვართ იმ შეთანხმებისა და, იმედი გვაქვს, შედეგი დადგება, — განაცხადა „მემარჯვენეების“ ლიდერმა.

## „მრავალეროვანი საქართველო“ კულტურის მინისტრს რობერტ სტურუას განცხადებაზე რეაგირებისაკენ მოუწოდებს

„საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო“ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რობერტ სტურუას მიერ გაკეთებულ განცხადებას რასიზმის გამოხატულებად მიიჩნევს და საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა რურუას ოფიციალური რეაგირებისაკენ მოუწოდებს. ამის შესახებ „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

— მიმდინარე წლის 13 მაისს ბატონმა რობერტ სტურუამ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ მის შემოქმედებით საღამოზე განაცხადა: „ თუ რაღაც ჭირს საზოგადოებას და არ დავასახელეთ ეს დაავადება, ბუნებრივია მისგან ვერც განვიკურნებით. რატომ გვიკვირს, რომ ადამიანები ვერ იტანენ სხვა ერის წარმომადგენლებს. ბუნებაში დევს რაღაც ისეთი, რასაც ჩვენ უნდა შევებრძოლოთ, დამალვით მხოლოდ ვითვალთმაქცებთ. წარმოიდგინეთ, ახლა რომ გითხრათ, თუ როგორ მიყვარს ზანგები. ხომ შეიძლება ისინი სულაც არ მიყვარდეს, იმიტომ კი არა, რომ ზანგები არიან, იმიტომ, რომ ოდნავ უკან დგანან ჩემზე კულტურის მხრივ.

— საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანმა საქართველომ“ თხოვნით მიმართა საქართველოს კულტურის მინისტრს, რათა მოეხდინა ოფიციალური რეაგირება რასიზმის გამოხატვის კიდევ ერთი ფაქტის თაობაზე რომელიც გამოთქმული იქნა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ რობერტ სტურუას მიერ, — ნათქვამია „მრავალეროვანი საქართველოს“ განცხადებაში.

**მედიანიუსი**

# „ბილაინის“ ნათელი ფერებით მარნეულის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის გალამაზდა

## კომპანიამ მარნეულში მორიგი მომსახურების ოფისი გახსნა

სოციალური პასუხისმგებლობა — ბევრისთვის ნაცნობი, მაგრამ მაინც უცხო სიტყვებია, არადა, წარმატების მიღწევა ამის გარეშე საკმაოზე მეტად რთულია...

— გაგონი მქონდა, მაგრამ გულახდილად გითხრათ, არ მჯეროდა „ბილაინის“ ქველმოქმედება... ახლა პირადად დავრწმუნდი ამაში და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, - ასე შეხვდა „ბილაინის“ საჩუქარს მარნეულის 5-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ბელა მიშელაშვილი, რომელიც კომპანიამ საატესტატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების გამო დააჯილდოვა კიდევ ბევრ თანატოლთან ერთად.

რაც ყველაზე მთავარია, თითოეული მარნეულელი მოსწავლე თუ რიგითი მკვიდრი „ბილაინს“ განსაკუთრებულ მადლობას იმის გამო უხდიდა, რომ კომპანიის ინიციატივით მიმდინარე სოციალური პროექტის ფარგლებში „ნათელი ფერები ბავშვებს“ მარნეულის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრისთვის საქველმოქმედო აქციამ აიღო სტარტი.

აქციის განმავლობაში 15 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით, „ბილაინის“ ნებისმიერი აბონენტი, რომელიც მარნეულში „ბილაინის“ მობილურ ტელეფონს ან სასტარტო პაკეტს ახლად გახსნილ აბონენტთა მომსახურების ოფისში შეიძენს, საქველმოქმედო აქციაში საკუთარ წვლილს ავტომატურად შეიტანს და ბავშვებს დაეხმარება.

კერძოდ, მობილური ტელეფონის ღირებულებიდან 1 ლარი, ხოლო ნებისმიერი სასტარტო პაკეტიდან 50 თეთრი მარნეულის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრს მოხმარდება.

„ბილაინის“ ახალი ოფისი კი მარნეულში, რუსთაველის 52 ნომერში გაიხსნა.

— „ბილაინის“ მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო აქცია განკუთვნილია ბავშვებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენი მზრუნველობა. მახარებს ის ფაქტიც, რომ





აქციაში ჩართვა „ბილაინის“ ახალ აბონენტებს შეეძლებათ. იმედი გვაქვს, ისინიც სიამოვნებით ჩაერთვებიან საქველმოქმედო აქციაში „ნათელი ფერები ბავშვებს“. ჩვენ საზოგადოებას დავპირდით, რომ ეს აქცია ერთჯერადი არ იქნებოდა და ის ფაქტი, რომ ყველა ჩვენი ახალი ოფისი მზრუნველობამოკლებული ადამიანების დახმარებისკენ მიმართული აქტივობებით იხსნება, უკვე ტრადიციად იქცა, - განაცხადა „ბილაინის“ გენერალურმა დირექტორმა ანდრეი პიატახინმა.

შეგახსენებთ, რომ „ბილაინის“ სოციალური პასუხისმგებლობის აქცია „ნათელი ფერები ბავშვებს“ უკვე ერთი წელია მიმდინარეობს როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

როგორც თავშიც აღვნიშნეთ, ახალი ოფისის გახსნის და საქველმოქმედო აქციის დაწყების პარალელურად, „ბილაინის“ გენერალურმა დირექტორმა მარნეულის მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეებს საატესტატო გამოცდების წარჩინებით ჩაბარებისთვის მობილური ტელეფონები გადასცა.

დასაჩუქრდნენ შემდეგი მოსწავლეები: ***ირაკლი ბაკურაძე, ნიკა სივსივაძე, მირიან ვარადაშვილი, გვანცა მულაძე, ლია ბურძენიძე, სალომე სადღობელაშვილი, მინდია შუკაკიძე, ბელა მიშელაშვილი, ნიკა ჩაჩანიძე, ბექა გავაშელი.***

**ანდრეი პიატახინი, „ბილაინის“ გენერალური დირექტორი:**

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ახალი ფილიალები კი არ გავხსნათ, ან ახალი სამუშაო ადგილები შევქმნათ, გვსურს, სოციალური დახმარებაც აღმოვუჩინოთ ხალხს. ყოველ ახალ ქალაქში შესვლისას აუცილებლად ვცდილობთ, ადგილობრივებს დახმარების ხელი გავუწოდოთ. ყველაზე სამართლიანი კი ვფიქრობ, ის არის, რომ იმ კატეგორიას დავუდგეთ გვერდში, რომელსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. კერძოდ, ბავშვებს, რადგან მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ ყურადღება და სითბო.

***— პირობა შესრულებულია, ბატონო ანდრეი და პროექტი „ნათელი ფერები ბავშვებს“ ერთი წელია, არ შეჩერებულა. მომავალშიც ასე გაგრძელდება?***

— რა თქმა უნდა, „ბილაინი“ მომავალშიც ასე იმუშავებს და ძალიან გვინდა, უფრო მეტი დახმარების აღმოჩენის საშუალება გვქონდეს.

***— წარმატებებს გისურვებთ ამ სურვილის ასრულებისთვის. ახლა ის იქნებ გვითხრათ, რამდენი ოფისი აქვს დღეისთვის „ბილაინს“?***



— გვაქვს 16 ოფისი, თუმცა ბუნებრივია, ეს მხოლოდ დასაწყისია და განვითარებაზე მუშაობას არ ვაჩერებთ. ამ დროისთვის ოფისები გვაქვს, რა თქმა უნდა, თბილისში, ასევემ ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში, კახეთის რეგიონში და ასე შემდეგ. ვიმეორებ, „ბილაინი“ დინამიურად იზრდება და ეს მხოლოდ დასაწყისია, გაგრძელება უფრო ნათელი და ლამაზი



იქნება — ბავშვებისთვისაც, აბონენტებისთვისაც და ჩვენთვისაც.

**მაია არაბული, მარნეულის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის დირექტორი:**

— მარნეულის სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის სარეაბილიტაციო ცენტრში სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახის შვილები დადიან, რომლებიც სხვა ყველაფერთანე რთად, ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასაც გადიან.

ცენტრი ახალი გახსნილია, ძალიან ბევრი რამ კიდევ მოსაგვარებელია და არ გვაქვს საჭირო თანხები. აქედან გამომდინარე, „ბილაინის“ ამ აქციამ უსაზღვროდ გაგვახარა. იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად იქნება და ბავშვების სურვილისამებრ, პირველ რიგში, ვიყიდით ტელევიზორს, „დივიდის“ და პრინტერს, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება.

**ნანა ჩხეტუნიძე, მარნეულის №5-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე:**

— პირველ რიგში, ძალიან მადლობელი ვარ, რომ ჩვენს მოსწავლეებს „ბილაინმა“ ძალიან დიდი სტიმული მისცა — კომპანიამ გადაწყვიტა, რომ ის ბავშვები დააჯილდოვოს, რომლებმაც გამოცდები წარმატებით ჩააბარეს. გარდა ამისა, მივესალმები კომპანიის ინიციატივას, მარნეულის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრისთვის ასეთი აქცია ჩატარდეს. პირადად მე და კიდევ ძალიან ბევრი ადამიანი მიიღებს მასში მონაწილეობას — სიკეთის კეთება ადამიანის ცხოვრების უმთავრესი მიზანი უნდა იყოს და მადლობა „ბილაინს“, ამის შანსი რომ მოგვცა.

# თბილისში 4 ათასი ოჯახი 20 წელია ბინების მშენებლობის დასრულების მოლოდინშია

კოოპერატიული ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები და სახელმწიფო დავალიანების საკითხები გუშინ თბილისის საკრებულოში ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებმა“ გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს.

განხილვაში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი მონაწილეობდა.

როგორც ფრაქციის წევრმა ჯაბა სამუშიამ განაცხადა, დღეს თბილისში 4 ათასი ოჯახი უკვე 20 წელია ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და საკუთარი ბინების მშენებლობის დასრულებას მოლოდინშია.

— თბილისის მერია არჩევნებზე დაგვპირდა, რომ ბინების სანაცვლოდ მოსახლეობას მიწის ნაკვეთებს დაურიგებდა. დაწყებული ბინების მშენებლობის დამთავრების ვალდებულებაც თბილისის მერიამ აიღო და ამის დოკუმენტაციაც არსებობს. ჩვენ სახელმწიფოს ვეუბნებით, რომ უნდა დავიწყოთ დიალოგი, — განაცახადა სამუშაიმ.

„ქრისტიან-დემოკრატების“ საპასუხოდ კი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ახვლედიანმა განაცხადა, რომ თბილისის მერიამ აღნიშნული პრობლემის მოგვარება 2009-2010 წლებში დაიწყო.

— იმ ადამიანებს, ვისაც სურს, რომ შიდა ვალის სანაცვლოდ კომპენსაციის სახით მიიღონ მიწის ნაკვეთები, მათ ეტაპობრივად 2009-2010 წლებში უკვე გადავეცით მიწის ნაკვეთები. ეს არის 500-მდე ოჯახი. დღესდღეობით მიმდინარეობს იმ მიწის ნაკვეთების ნუსხის მომზადება, რომელიც უნდა გადაეცეს დანარჩენ დაზარალებულ მოსახლეობას შიდა ვალის სანაცვლოდ. ეს ეტაპობრივად მოხდება. ხოლო მათ ვისაც ზარალის ანაზღაურება ფულადი სახით სურს, ფინანსთა სამინისტროს უნდა მიმართოს, რადგან ამაზე ფინანსთა სამინისტრო მუშაობს, — განაცხადა ახვლედიანმა..

მისი თქმით, უკვე დაწყებული ორი საცხოვრებელი კორპუსის დასასრულებლად კერძო ინვესტორის მოძიება მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# სანაპიროზე სომხებმა 4 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელეს

გამოცემა „ერკირის“ ინფორმაციით, საქართველოში მდებარე შავი ზღვის სანაპიროები, უცხოელებს, კერძოდ კი სომეხ ინვესტორებს გადაეცათ, რომლებმაც ინვესტიციები უკვე განახორციელეს.



— მარტო ბათუმსა და ქობულეთში, სასტუმროების მშენებლობაში, სომხებმა 4 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელეს. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს ტერიტორიები ინვესტორებს უფასოდ გადასცა და გარდა ამისა 15 წლით გადასახადებისგანაც გაათავისუფლეს, — წერს გამოცემა.

ბათუმის ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსის ზვიად ბურჭულაძის განცხადებით, მათ წინადადებებზე პირველი გამოხმაურება სომხებისგან ჰქონდათ და დღეს სომხური კომპანიები ორ სასტუმროს აშენებენ, რომელთა გახსნაც წლის ბოლოსათვის იგეგმება.

გამოცემა წერს, რომ ქართულ მედიასთან ინტერვიუში სომხური კომპანიის წარმომადგენელმა, სარქის ოგაბეკიანმა განაცხადა, რომ ისინი მიღწეულით არ დაკმაყოფილდებიან და მომავალში გამაჯანსაღებელ ცენტრსაც ააშენებენ, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს.

სომხური კაპიტალის ხარჯზე ქობულეთში ახალი საკონცერტო დარბაზიც აშენდება, სადაც საესტრადო სიმღერის ყოველწლიური ფესტივალი ჩატარდება.

**მედიანიუსი**

# სპირტიანი სასმელების ნაწილზე აქციზის გადასახადის შემცირება იგეგმება



სპირტიანი სასმელების ნაწილზე აქციზის გადასახადი მცირდება. შესაბამისი ცვლილების შეტანა საგადასახადო კოდექსში იგეგმება. კოდექსის მიხედვით, სპირტიანი სასმელების გარკვეულ ნაწილზე აქციზის განაკვეთი დიფერენცირებული, დანარჩენებზე კი ლიტრზე 5 ლარია.

კანონპროექტის თანახმად კი, მოხდება „სხვა სპირტიანი სასმელების“ დიფერენცირებაც და მასზე აქციზის განსხვავებული განაკვეთები დადგინდება. კერძოდ, არაყზე აქციზის განაკვეთი 2,5; ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიან ნაყენებზე, ლიქიორის გარდა 3, სპირტიან ნაყენებსა და დანარჩენ სპირტიან სასმელებზე 3-3,5; ხილისაგან გამოხდილ სპირტიან ნაყენზე 0,5; კალვადოსზე, კორნსა და ტეკილაზე 4; ხოლო დანარჩენ სპირტიან სასმელებზე, მათ შორის, ეთილის სპირტზე, რომელიც არადენატურირებულია და სპირტის კონცენტრაციით 80 პროცენტზე ნაკლებია 3 ლარი იქნება. კანონპროექტის ავტორები დეპუტატები: ანდრო ალავიძე და მიხეილ ცქიტიშვილი არიან.

**მედიანიუსი**

# ახალგორის რაიონს ქართველებისგან შეგნებულად ცლიან

## ხელისუფლება სეპარატისტებს უჭერს მხარს

**ნანა მიშელაშვილი**

**ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი საქართველოს ხელისუფლებას ახალგორის მიმართ არასწორი პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებს. გუშინ გიორგი ცაგარეიშვილმა პარლამენტში ერთობლივი ბრიფინგი გამართა, ახალგორში მცხოვრებ თამარ მეარაყიშვილთან ერთად.**

გიორგი ცაგარეიშვილისა და თამარ მეარაყიშვილის განცხადებით, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარე ზურაბ ფიცხელაური ყველანაირად ცდილობს, რომ ახალგორში დარჩენილი ქართული მოსახლეობა აიყაროს და წეროვანში გადავიდეს.

ცაგარეიშვილის განცხადებით, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარე ესწრაფვის, რომ ახალგორიდან ადამიანები წეროვანში გადმოვიდნენ.

— ახალგორში დარჩენილ საჯარო მოხელეებზე საშინელი ზეწოლა მიმდინარეობს და შანტაჟი, რათა მათ ახალგორის ტერიტორია დატოვონ და წეროვანში გადმოვიდნენ. მათ ეუბნებიან, რომ თუ ამ ნაბიჯს არ გადადგამენ, ხელფასები, რომელიც ერიცხებათ, შეუწყდებათ, თანამდებობიდან გაათავისუფლებენ და საქართველოს ხელისუფლება ყველანაირ კონტაქტს გაწყვეტს, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუატატის შეფასებით, ახალგორში მცხოვრები ქართველები ქართულ ინტერესებს იცავენ და დღესაც იქ ცხოვრობენ. მისივე თქმით, ახალგორში გაუქმება სურთ ბაგა-ბაღების, სკოლების, ყველაფრის, სადაც კი ქართველი ადამიანები დადიან და მუშაობენ.

— რა შეგვრჩება ხელში, ქართველებისგან დაცლილი მიწა-წყალი? ქსნის ხეობა, რომლის ყოველი გოჯი მიწა მორწყულია სისხლით, ვის ვტოვებთ, ვინ ჩავა, ვინ იცხოვრებს — ივანე მერაბიშვილი თუ მიშა სააკაშვილი? — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი შეკითხვებს სვამს — ეს არის სახელმწიფო სტრატეგია? ეს არის ქართული პოლიტიკა?

— ეს არის სეპარატიზმის მხარდაჭერა, ეს არის ქვეყნის დაშლა, ეს არის ქართული გენის მოსპობა. ამით ხართ თქვენ დაკავებული ყველანი ერთად, ვინც ამას აკეთებთ და უნდა გრცხვენოდეთ. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. ეს არის თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ეს არის შანტაჟი უბედური ქართველი ხალხის, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ამის შემდეგ დეპუტატმა კიდევ უფრო მწვავე განცხადება გააკეთა.

— ახალგორელებმა არაფერი არ დააშავეს, გარდა იმისა, რომ ჩვენ ყველა ქართველებად გავჩნდით ამ ქვეყანაზე, ეს არის ჩვენი ყველაზე ცოდვა სააკაშვილის ხელში. მე მრცხვენია, რომ ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ, სადაც ასეთი ადამიანები ცხოვრობენ. მოგიწოდებთ, თავი დაანებეთ ამას. აცალეთ ამ ხალხს ახალგორში ცხოვრება, — მოუწოდა ცაგარეიშვილმა თანამდებობის პირებს.

ოპოზიციონერ დეპუტატს აინტერესებს, თუ ახალგორში ქართველი არ დარჩა, როგორ უნდა დაელაპარაკონ იქ მცხოვრებ ოსებს. დეპუტატი სახალხო



დიპლომატაზეც საუბრობს და კითხვას სვამს — ეს არის სახალხო დიპლომატია?

ალასანიას პარტიის წევრი დღეს საქართველის მთავარ პროკურატურაში სადეპუტატო შეკითხვას აგზავნის და მოითხოვს, აღიძრას ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრული.

— ეს ადამიანები დასჯილი უნდა იყვნენ, ეს არის ღალატის ტოლფასი ნაბიჯი. თუ ვინმე ამიხსნის, სად არის აქ ქართული ინტერესი, სად იწყება ქართული სახელმწიფოებრიობა, როდესაც უბედურებას სჩადიან, მაშინ ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ერთობლივ ბრიფინგზე ახალგორში მცხოვრებმა თამარ მეარაყიშვილმა განაცხადა, რომ ის ახალგორში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორია, თუმცა, მისი გათავისუფლების ბრძანება არსებობს, რომელიც 2011 წლის იანვარში მიიღეს, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. მეარაყიშვილის მტკიცებით, მიმდინარე წლის იანვრიდან ახალგორში მოქმედი ერთი ორგანიზაციიდან ისე გადაიყვანეს წეროვანში არსებულ ერთ-ერთ ორგანიზაციაში, რომ მასთან არ შეუთანხმებიათ. თანაც აუხსენეს, რომ წეროვანში „მუშაკად მუშაობს“. ამას ის მოჰყვა, რომ წეროვანში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა.

თამარ მეარაყიშვილის თქმით, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზურაბ ფიცხელაურმა ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან საჯარო სამსახურის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს გაფრთხილება დაუგზავნა — თუკი ისინი წეროვანში არ გამოცხადდებიან სამუშაოდ, ხელფასები შეუწყდებათ. მეარაყიშვილი ირწმუნება, რომ ეს გადაწყვეტილება უკვე შეეხო ახალგორის სანეპიდსადგურის თანამშრომლებს, რომლებმაც უარი განაცხადეს წეროვანში გადასვლაზე და ცხოვრებაზე.

სამაგიეროდ, თამარ მეარაყიშვილი ამბობს, რომ გამგებელი დღემდე აფინანსებს ახალგორში ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებასთან დაახლოებული არიან. მაგალითისთვის მეარაყიშვილმა დაასახელა მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილის დედა, რომელიც 80 წლის არის და ახალგორის რაიონში არც კი ჩადის, ისე იღებს ხელფასს.

— მოქმედ ორგანიზაციებს, რომლებიც ახალგორში ვართ, დაფინანსებას გვიწყვეტენ და ადამიანს, რომელიც არც კი ცხადდება სამსახურში, ხელფასს აძლევენ. ეს არის თუ არა კორუფცია? ამაზე პასუხს ვითხოვ ხელისუფლებისგან, — აღნიშნა მეარაყიშვილმა.

ახალგორის მკვიდრი იმასაც ამბობს, რომ მას არა აქვს დევნილის სტატუსი, არ აუღია არანაირი კომპენსაცია და კოტეჯი.

— რატომ უნდა წამოვიდე და დავსახლდე დევნილთა დასახლებაში მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ხელფასი მივიღო? ამაზე ხელისუფლებისგან პასუხსს ვითხოვ, — თქვა მეარაყიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ვალოდია შერმადინს, რომელიც წეროვანში მუშაობს და ცხოვრობს, ახალგორში სახლი მიქირავებული აქვს რუსული ბანკის მმართველზე და ქირის სახით რუსულ რუბლებში იღებს თანხას.

— პირადად მე, იმის გამო ვისჯები, რომ ზურაბ ფიცხელაური მიბარებდა და მთავაზობდა თანამშრომლობას, მაგრამ მე არ ვითანამშრომლე ქართულ სპეცსამსახურებთან, ქართულ უშიშროებასთან. ბატონი ფიცხელაური ასევე მოითხოვდა ჩემგან წეროვანში გამოცხადებას კვირაში ერთხელ, რომ მისთვის მიმეტანა ამბავი, ვინ როგორ იქცევა ახალგორში. თუ ამ ყველაფერს ფოტო მასალასაც დავურთავდი და მობილურით ჩავიწერდი, ვიქნებოდი უალტერნატივო მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი. ამ ყველაფერზე უარი განვაცხადე და ამიტომ მოხდა ჩემ მიმართ დევნა, — აღნიშნა მეარაყიშვილმა.

ახალგორში მცხოვრებელმა ახალგორის მაჟორიტარი დეპუტატის დევი ოვაშვილის მიმართ პრეტენზიები გამოთქვა, რომელიც ხმას არ იღებს.

ბრიფინგზე გიორგი ცაგარეიშვილმა პარლამენტის შესაბამისი სამსახურები გააფრთხილა, რომ მისი ბრიფინგი არ უგულებელყონ და ვებგვერდზე განათავსონ.

— საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი არ არის მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარისა და ნაციონალური მოძრაობის ვებგვერდი, მე ვარ პარალამენტის წევრი და შესაბამისი სამსახური ვალდებულია ყველა ჩემი ბრიფინგი ასახოს. სიტყვის თავისუფლება პარლამენტის კედლებიდან უნდა დაიწყოს, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატმა უკანასკნელი გაფრთხილება მისცა მათ, ვინც მისი ბრიფინგების იგნორირება მოახდინა და ვებსაიტზე არ დადო.

ცაგარეიშვილმა რამდენიმე დღის წინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა, სადაც დავით ბაქრაძე დამნაშავეების მფარველობაში დაადანაშაულა. ცაგარეიშვილის აღშფოთების მიზეზი ის გახდა, რომ მას პარლამენტის თავმჯდომარემ სასჯელაღსრულების სამ დაწესებულებაში შესვლის ნებართვა არ მისცა. სწორედ ეს ბრიფინგი არ განთავსდა პარლამენტის ოფიციალურ საიტზე.

გიორგი ცაგარეიშვილის ამ შენიშვნას არ იზიარებს პარლამენტის შესაბამისი სამსახური. როგორც პარლამენტის პრესსამსახურში განმარტავენ, დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის ბრიფინგის თაობაზე მათთვის არავის უცნობებია და ამდენად, მისი ბრიფინგი საიტზე ვერ განთავსდებოდა.

# თუ რუსეთი ტერორისტია, მას არ უნდა დაველაპარაკოთ

**ნანა მიშელაშვილი**

ქრისტიან-დემოკრატების წევრი ნიკა ლალიაშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს ან ტერორისტულ საფრთხეებზე საუბარი შეწყვიტოს ან ჟენევის ფორმატიდან გამოვიდეს.

გუშინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა ნიკა ლალიაშვილმა და ჟენევის ფორმატთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მისივე თქმით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ხორციელდება ისეთი ქმედებები, რასაც ხელისუფლება ტერაქტების კვალიფიკაციას აძლევს.

— არც ერთი ღირსეული სახელმწიფო არავითარ პირობებში არ აწარმოებს დიალოგს ტერორისტებთან. თუკი ჩვენი სახელმწიფო ტერორიზმში მეორე სახელმწიფოს ადანაშაულებს, რომელიც ჟენევის ფორმატშია შესული, მაშინ კეთილი ინებონ და დატოვონ ეს ფორმატი, ან დააყენონ საკითხი ამ ფორმატის ან შემადგენლობის შეცვლაზე, — განაცხადა ნიკა ლალიაშვილმა.

დეპუტატის თქმით, საზოგადოებას უჩნდება შეკითხვა, თუკი ჟენევის ფორმატი მკვდარი წერტილიდან აღარ იძვრება და არაფერი რეალური სარგებელი ჩვენი ქვეყნისთვის არ მოაქვს, თანაც მასში მონაწილეობს მხარი, რომელსაც ხელისუფლება ტერორისტებს უწოდებს, მაშინ რატომ აგრძელებს ამ ფორმატში მონაწილეობას.

— ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას ან შეწყვიტოს საუბარი ტერორისტულ საფრთხეზე, ან გადახედოს ჟენევის ფორმატს, ან დააყენოს საკითხი ჟენევის მოლაპარაკებებში წარმომადგენლობების, მხარეთა შეცვლაზე ან თავად შეწყვიტოს მონაწილეობა, მანამ სანამ, საბოლოოდ არ იქნება ნეიტრალიზებული და აღკვეთილი ტერორისტული საფრთხე, რომელიც მომდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, — აღნიშნა ლალიაშვილმა.

# რვიანში განხეთქილება ხელისუფლებისთვის საჩუქარია

ქეთი ხომერიკი

**„აი, რვიანში თუ ბზარი გაჩნდა, ამას მმართველი გუნდი 1990-ით გამოიყენებს და სწორიც იქნება. თუ რვიანში ბზარი გაჩნდა, ეს ღვთივბო ებული საჩუქარი იქნება მმართველი პარტიისათვის. რასაკვირველია, ხელისუფლება ამ ბზარის გაჩენას ცდილობს და გამორიცხული არაფერია“, — აცხადებს ცინცა ე. „ახალი თაობა“ ექსპერტს, პოლიტოლოგ სოსო ცინცაძე ესაუბრა.**

*— რვიანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის საზოგადოების გააქტიურებასა და პროცესში ჩართავასაც კი გეგმავს და რვიანში შემავალი რამდენიმე პარტია საპროტესტო აქციებსაც არ გამორიცხავს. თქვენი აზრით, რვიანი ამ ყველაფერს შეძლებს, საარჩევნო გარემოს ცვლილების მოთხოვნით საზოგადოება ქუჩაში გამოვა?*

— არა, შეუძლებელია. სხვათა შორის, როგორც ჩანს, რვიანი ახლა ნერვიულობს და იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ჩვენი საზოგადოების რადიკალური ნაწილის განწყობილებას. მხედველობაში მყავს ის ნაწილი, რომელიც ჯიუტად მოითხოვს მოლაპარაკებებზე უარის თქმას და რადიკალურ, ქუჩის აქციებზე გადასვლას. მე აქამდე რვიანისგან არ მსმენია ის, რომ ქუჩის აქციები მათთვის მისაღები იყო. დღეს კი მხოლოდ „ახალი მემარჯვენეები“ დგანან ამ ტრადიციულ პოზიციაზე და კატეგორიულად უარყოფენ ქუჩის აქციებს.

*— „ახალი მემარჯვენეების“ პოზიცია რამდენად სწორია?*

— აბსოლუტურად სწორია. იცით, რვიანის საზოგადოების ერთ ნაწილთან ბოლო შეხვედრაზე სარისკო ტენდენციები გამოჩნდა.

*— რას გულისხმობთ?*

— დავასრულებ, რასაც ვამბობდი და მაგასაც მოგახსენებთ. იმ შეხვედრაზე იქ ერთ-ერთმა მიწვეულმა სტუმარმა ვითომ ძალიან კვიმატი, მაგრამ სინამდვილეში პრიმიტიული კითხვა დაუსვა რვიანს — თქვენ საარჩევნო გარემოს შეცვლა გინდათ თუ ხელისუფლებისო. ეს ბევრმა აიტაცა, ამ დროს კი პრიმიტივია, რადგან რვიანს ჰქონდა სწორი პოზიცია, რომელიც გულისხმობს საარჩევნო გარემოს შეცვლით არჩევნებში გამარჯვებასა და ხელისუფლების შეცვლას. ამიტომ ახლა, დღეს, დაპირისპირება საარჩევნო გარემოს შეცვლასა და ხელისუფლების შეცვლას შორის დემაგოგიისა და პრიმიტივიზმის კოქტეილია.

*— თქვენ თვლით, რომ რვიანს ხელისუფლებასთან ბრძოლის სწორი გზა აქვს არჩეული?*

— სწორია მხოლოდდამხოლოდ მოლაპარაკება, ჯიუტად, ხანგრძლივად, თმენის დიდი რესურსით და საერთაშორისო დამკვირვებელთა მხარდაჭერის ზრდით. ეს ხომ ჩვენს ისტორიაში პირველი მოლაპარაკებაა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის ამ მასშტაბისა და ფორმატის, რომლის სპონსორები, შეიძლება ინიციატორებიც, უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები არიან.

*— კეთილი, მაგრამ, როგორ უნდა დაარწმუნოს საზოგადოება რვიანმა იმაში, რომ ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი სწორი გზა არჩევნებია და ხალხის ამ პროცესისადმი მხარდაჭერა როგორ უნდა მოიპოვოს?*

— იცით, ასევე სარისკო იყო იმ შეხვედრაზე გაჟღერებული მოწოდებებიც, რომ ამის შემდეგ პოლიტიკა ხალხმა უნდა აკეთოს და ხალხი უნდა აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში. ასეთი რამ ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელია. შეიძლება ახლა ვინმემ თქვას, სოსო ცინცაძე ხალხის წინააღმდეგ არისო, მაგრამ ეს უკვე პოპულიზმია. არსად კაცობრიობის ისტორიაში ასეთი რამ არ ყოფილა, შეიძლება, ძველ ათენში ფორუმზე და ძველ საბერძნეთში იყო, მაგრამ ბოლომდე იქაც არ იყო. სოკრატეს სიკვდილი მიუსაჯეს ხალხის ნებით და იმ პერიოდის მსოფლიოში ერთი გენიოსით ნაკლები დარჩა. რატომ? იმიტომ რომ ხალხმა ძალიან დემოკრატიულად სოკრატეს მიუსაჯა სიკვდილი. ამიტომ 40 საუკუნის შემდეგ ამის გამეორება ჩემთვის მიუღებელია. გარდა ამისა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ელექტორატის ფართო ნაწილის პოლიტიკური კულტურის დონე. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში საფრანგეთის მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი და შემდეგ აფრიკის ქვეყნის ერთ-ერთი პრეზიდენტი ფელიქს უფუე-ბუანი ამბობდა, რომ მშიერი ადამიანი არ შეიძლება მოაზროვნე არსებად ჩაითვალოს. ღატაკი მოსახლეობა არ შეიძლება დღეს ხელისუფლების პროცესის შემუშავების შემოქმედი იყოს. ეს არ ხდება. ელემენტარულად, ცივილიზებული პრაქტიკა თხოულობს რას, იმას, რომ პოლიტიკური პარტია თავისი პროგრამის სისწორეში არწმუნებდეს ელექტორატს. ის, რომ ქუჩის აქციები გვინდა, ეს გვინდა, ის გვინდა, არასწორია. ქუჩის აქციები საქართველოში რითიც მთავრდება, ეს არაერთხელ ვნახეთ, აქციები, რომელიც ყოველთვის ზღვარზეა და შემდეგ იწყება ამ აქციების შედეგებზე დაუსრულებელი ლაპარაკი, მაგრამ გაკვეთილი არც ერთი ქუჩის აქციიდან ჩვენს საზოგადოებას, როგორც ჩანს, არ გამოუტანია.

*— ბატონო სოსო, ხელისუფლებაზე ზეწოლის რა მექანიზმი უნდა შეარჩიოს და შეიმუშავოს რვიანმა?*

— რვიანმა, პირველ რიგში, მოლაპარაკების იდეის პოპულარიზაცია უნდა მოახდინოს და ზეწოლის მექანიზმად საერთაშორისო მხარაჭერა უნდა შეარჩიოს. დღეს რომ ამბობენ, ადრე საერთაშორისო მხარდაჭერა არ გვქონდა და არჩევნებში იმიტომ ვმარცხდებოდითო, ახლა ხომ აქვთ საერთაშორისო მხარდაჭერა, როგორც თავად აცხადებენ? თუ მართლა ხედავენ ამ მხარდაჭერას, ეს სწორედ მოლაპარაკების პროცესში უნდა გამოიყენონ და, არა ვთქვათ, ქუჩის აქციებისათვის. საერთაშორისო მხარდაჭერა ჩვენს სინამდვილეში ისეთი ძვირადღირებული კაპიტალია, რომ მისი გაფლანგვა ქუჩის აქციებში სისულელეა.

*— გვაქვს უპირობო საერთაშორისო მხარდაჭერა, ხალხის კი — ნაკლებადო, აცხადებენ რვიანში შემავალი პარტიების ლიდერები. როგორ უნდა მოიპოვონ საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა?*

— როგორ და საერთაშორისო მხარდაჭერით უნდა მიაღწიონ ამ მოლაპარაკებებში საარჩევნო გარემოს შეცვლას, უფრო სწორად, გაუმჯობესებას და ამას დაინახავს ხალხი, აი, ასე უნდა მოიპოვონ. დღეს ხალხს რატომ არ სჯერა? იმიტომ რომ ფიქრობენ, ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ წამოვაო. ამბობენ, აი, ხელისუფლება მაინც არაფერს თმობს. მაშინ აქ ერთი რამ არის — ან ეს საერთაშორისო მხარდაჭერა არ არსებობს, ეს ილუზიაა და ვილაცის გამოგონილია, ან, თუ არსებობს, მაშინ უკვე ჩვენი ოპოზიციური ელიტა ვერ იყენებს მას



სწორ სიუჟეტად ქცევისათვის.

*— და რვიანმა დრო ფუჭად ხომ არ დაკარგა, ანუ მეტად აქტიურად არ უნდა ემოქმედათ და საზოგადოებასთან შეხვედრები კარგა ხნის წინ დაეწყოთ?*

— არჩევნებამდე სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩება და ამიტომ ვთქვი, რვიანი, როგორც ჩანს, ნერვიულობს-მეთქი, რადგან ნაკლები დრო რჩება. არსებული სტატუს კვო თუ ასე გაიჭიმება, რასაკვირველია, ეს მხოლოდ მმართველ პარტიას აწყობს, რადგან დღეს ყველა გამოკითხვით მმართველი პარტიის რეიტინგი გაცილებით მაღალია ოპოზიციურ ძალებთან შედარებით და ამას ვერავინ უარყოფს. აქ რა არის გამოსავალი? ან ამ რეიტინგის დაწევა და რომელიმე ერთი მმართველი პარტიის რეიტინგის აწევა ან ოპოზიციური პარტიების ჯამური რეიტინგის დაპირისპირება მმართველი პარტიის რეიტინგთან, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი ხდება. მაშინ იმავე შეცდომას გაიმეორებს ოპოზიცია, რაც მან დაუშვა გასულ წელს, ვგულისხმობ მაისის არჩევნებს, ანუ არსებობს საშიშროება, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მაშინდელივით საერთოდ არ მივა არჩევნებზე, რადგან არჩევნების არ სწამთ. მაშინ ოპოზიციას ეგონა, გაიმარჯვებდა, რადგან, იმედი ჰქონდა, რომ ბევრი ადამიანი მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას და კი შეცდნენ. ამ მხრივ ახლაც ცუდი მდგომარეობაა და ყველაზე რთული ხალხის ამაში დარწმუნებაა. აი, გადით ქუჩაში და ჰკითხეთ, ვთქვათ, 10 ადამიანს და ნიძლავს ჩამოვალ, ერთიც ვერ გიპასუხებთ იმას, თუ რას თხოულობს რვიანი კონკრეტულად და რაზე ამბობს უარს მმართველი პარტია.

*— ხალხთან ამ მიმართულებით აქამდეც ხომ არ უნდა ემუშავათ, ეს რატომ არ გააკეთეს, ბატონო სოსო?*

— რასაკვირველია, უნდა ემუშავათ და რატომ არ იმუშავეს, ეს უკვე მათ ჰკითხეთ. ჰკითხეთ, რატომ არ მუშაობენ თუნდაც ახლა, ამ მიმართულებით, კარდაკარ, ეზოდან ეზომდე უნდა იარონ, მივიდნენ და ყველას აუხსნან, თუ რა პროცესზეა საუბარი. კი, ნამდვილად ადვილია აქუბარდიას ეთერში მისვლა და შეგიძლია, ერთი საათი ილაპარაკო იმაზე, რაც გინდა, მაგრამ აქ უკვე ორმხრივი კონტაქტი აღარ არის. უნდა მოხდეს შეკრებები, კამათი, დისკუსიები, უნდა დააჯერონ ეს ურწმუნო თომები, რომ არჩევნებითაც შეიძლება გამარჯვება. თუ ჩვენ გვინდა, ცივილიზებულმა მსოფლიომ მხარი დაგვიჭიროს, მაშინ ეს ბარიკადები და რევოლუციები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ. კი ბატონი, იყოს არა აქციები, არამედ დემონსტრაციები. ოპოზიცია აქტიურობასა და ძალას ურევს ერთმანეთში. ევროპაში, იგივე შტატებში, ძალა არის ის, პარტიას რამდენი დემონსტრანტის გამოყვანა შეუძლია ქუჩაში და არა ბარიკადები, არა რადიკალური აქციები, არამედ მშვიდობიანი დემონსტრაცია. მშვიდობიანად უნდა ჩაიარო და დაანახვო მთავრობას, აი, ჩვენ ამდენი მომხრე გვყავს. აი, ეს არის ძალა და არა ის, რომ მილიონნახევრიან ქალაქში ორი ათასი კაცი გამოიყვანო, გინდაც ათასი, ამდენიც არ ყოფილა 21 მაისის აქციებზე და ცენტრალურ მოედანზე მოითხოვო, გინდა თუ არა, პრეზიდენტი გადადგეს, თუ არადა, ვისხდებით აქ და აღლუმს არ ჩაგატარებინებთო. როგორ არ ჩაატარებინებ აღლუმს, რა, სასამართლოს დადგენილებით არ ჩაატარებინებ? აი, ფიზიკურად დავდგები, არ მოვუშვებ და არ ჩავატარებინებ, რითი მთავრდება ეს და რა პასუხი აქვს ამაზე ხელისუფლებას, ჩვენ, უკვე დავინახეთ.

*— რვიანი აქციების გამართვას მსგავსი მოთხოვნით არც გეგმავს... ფიქრობთ, რომ 26 მაისის შემდეგ რევოლუციის მომხრე ძალები პოლიტიკურად გაკოტრდნენ, მათი დრო წავიდა?*

— რასაკვირველია, იდეოლოგიურად გაკოტრდნენ, ალბათ — ფინანსურადაც, რადგან ეს ყველაფერი გარკვეულ თანხებთან იყო დაკავშირებული, რაც დაიკარგა. თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, ერთი წლის მერე ერთი ათასი კაცი კიდევ მოიძებნოს, რომელიც მივა ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციას ალყას შემოარტყამს და იტყვის, აქედან არსად არ წავალთო. მერე მივა, რასაკვირველია, სპეცრაზმი და ცემა-ტყეპით გაყრის ყველას იქიდან. და ვიმეოროთ ასე და ვიყვიროთ, აი, იქ ვილაცას თავი გაუტეხეს, ვილაც დაიღუპა. გაუთავებელი იქნება ეს კარუსელი. ამ გაკოტრების ფონზე რვიანს მეტი შანსი მიეცა თითქოს, მაგრამ გაუჭირდა სწორი დასკვნების გაკეთება. გვახსოვს, რომ აქციებამდე რვიანი ვერ აჯერებდა ხალხს, რომ რევოლუცია წამგებიანი იყო, მაგრამ ხალხმა უკვე თვითონ ნახა, რით მთავრდება რევოლუცია და ამით რვიანის შანსი უნდა გაზრდილიყო. ეს მოხდებოდა კიდეც, რვიანს თავი რომ არ შეეკავებინა ოპოზიციის რადიკალური ფრთის მკვეთრი კრიტიკისაგან. რვიანს უნდა დაეგმო ეს, თუმცა, არ გააკეთა. მხოლოდ ალასანია აკრიტიკებდა მათ და ისიც — არა მკვეთრად, არამედ მორიდებით. ასევე რვიანმა ხარკი გაიღო რევოლუციონერებთან მიმართებით, როდესაც თქვა, რომ ქუჩის აქციებსაც არ გამორიცხავს. აი, ამის შემდეგ კი არ გამიკვირდება, რომ მმართველ პარტიაში შვებით ამოესუნთქათ, ანუ იფიქრებდნენ, რომ ესენიც იმავე გზით მიდიან და ჩვენ გავიმარჯვებთო.

*— რა გზას უნდა დაადგეს რვიანი, რა პერსპექტივა აქვს მათ გეგმას და, თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები?*

— როგორც ჩანს, ახლა, ბუნებრივი ტაიმ-აუტი არსებობს, უნდათ, თუ არ უნდათ, ეს ასეა, შემოდგომამდე. ახლა ზაფხულის ცხელი თვეებია და დასვენებაზე უარს, რამდენადაც ვიცი, არც ოპოზიცია ამბობს. ამიტომ შემოდგომამდე მათ, მე მგონი, ახალ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე უნდა იმუშაონ. თუ ოპოზიციამ შემოდგომაზე ახალი პროგრამა არ შესთავაზა საზოგადოებას, ეს მოძველებული ქუჩის აქციები უკვე სასაცილოც კი აღარ იქნება. ვიმეორებ, თუ შემოდგომაზე ახალი პროგრამა, ახალი ხედვა არ შესთავაზა ოპოზიციამ საზოგადოებას, მაშინ უკვე თვითონ ოპოზიცია შეიძლება ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს ხალხის მხარდაჭერის თვალსაზრისით. მე, მაგალითად, სიმართლე გითხრათ, არ მესიამოვნა, რომ მოვისმინე, ხალხი უნდა ჩავრთოთ პროცესშიო. ვიმეორებ, ეს პოპულიზმია, რადგან მასა ხალხისა ძალიან ადვილად შეიძლება, ბრბოდ იქცეს.

*— ხალხის პროცესში ჩართვა არასწორია, ბატონო სოსო?*

— ზომიერად კი უნდა ჩართო, მაგრამ, რა ფორმით ჩართავ, ფორმაა აქ მოსაძებნი. ის, რომ ათას კაცს ჰკითხავ, აბა, რა გინდათ, ხალხო, თქვითო, ეს სხვა ფორმაა და სწორია, მაგრამ არავითარი აქციები! ვიმეორებ, ეს დაუშვებელი და არასწორია.

*— კეთილი, თქვენი აზრით, ხელისუფლების პასუხი რა იქნება? მმართველმა გუნდმა რვიანი უპასუხოდ დატოვა...*

— მათი პასუხი არჩევნებზე წასვლა იქნება, როგორც არის და როგორც ადრე ტარდებოდა.

*— ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ მიდის და ფიქრობთ, რომ არც წავა? ამ შემთხვევაში გამოსავალი რა არის, როგორ უნდა იმოქმედოს რვიანმა?*

— ორივე მხარე უნდა წავიდეს კომპრომისებზე, უნდა მოხდეს ორმხრივი კომპრომისი, მოლაპარაკება, თუ გნებავთ, რომ ეფექტური იყოს და მიღწეული შეთანხმება ცხოვრებაში გატარდეს, ამისთვის ორმხრივი კომპრომისებია აუცილებელი. დანამდვილებით ვერ გეტყვით, აქ რა და როგორ იქნება, მაგრამ მაქსიმალისტური არც ერთი მხარე არ უნდა იყოს. არც ოპოზიცია უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ ისეთი კანონი მინდა, მაინცდამაინც 70%-ით გავიდე და არც მმართველი პარტია უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ აუცილებლად მას უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა. აი, ეს იქნება ყველაზე სალი გადაწყვეტილება. სხვათა შორის, არც მმართველ პარტიას აწყობს ჩიხი, რადგან უცხოური პატრონაჟით მიმდინარეობს ეს მოლაპარაკება, რომელსაც ხელისუფლება ანგარიშს უწევს. მათ არ აწყობთ, რომ სპონსორები საჯაროდ გამოვიდნენ და თქვან, მმართველმა პარტიამ ჩაშალა მოლაპარაკებაო.

*— თუმცა, საუბარია, იმაზე, რომ შემოდგომამდე რვიანში ბზარი გაჩნდება და ისინი ხელისუფლებას კოსმეტიკურ ცვლილებებზეც დათანხმდებიან. რვიანში ბზარის გაჩენა რამდენად შესაძლებელია?*

— აი, რვიანში თუ ბზარი გაჩნდა, ამას მმართველი გუნდი 100%-ით გამოიყენებს და სწორიც იქნება. თუ რვიანში ბზარი გაჩნდა, ეს ღვთივბოძებული საჩუქარი იქნება მმართველი პარტიისათვის. რასაკვირველია, ხელისუფლება ამ ბზარის გაჩენას ცდილობს. ყველაფერი შესაძლებელია და არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

**იყიდება**

**შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 312.0 კვ.მ და მასზედ არსებული შენობა-ნაგებობები სასარგებლო ფართით 36,7 კვ.მ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ოსტროვის ქუჩა №103.**

**ფასი შეთანხმებით.**

<u>მსურველები დაგვიკავშირდით მისამართზე:</u>

**თბილისი, 0194, ბურძგლას ქუჩა №56, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, ტელ.: (995 32) 243 97 57, ფაქსი: (995 32) 243 97 67, მობილური: (995 77) 222 545, ვებ-გვერდი: www.SPG.ge; ელ-ფოსტა: info SPG.ge.**

**<u>საკონტაქტო პირი:</u> არჩილ ფირცხალავა — იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, მთავარი იურისტი.**

## ალმასკომის წევრობის კანდიდატები ცნობილია

15 ივნისს, 18:00 საათზე დასრულდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატურების წარდგენა სფფ□ის გენერალურ სამდივნოში. წესისამებრ, კანდიდატურების წარდგენის უფლება მხოლოდ სფფ□ის წევრებს ჰქონდათ.

შეგახსენებთ, რომ სფფ□ის მორიგი ყრილობა ამა წლის 25 ივნისს გაიმართება, სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ ახალი ალმასკომის არჩევა იქნება.

ალმასკომის წევრობის კანდიდატები არიან: კახაბერ ებრალიძე (წარადგინა გურიის რფფ-მ), ვალერი მანაგაძე (იმერეთის რფფ), გიორგი რევაზიშვილი (შიდა ქართლის რფფ), სერგო კვარაცხელია (სამეგრელო-ზემო სვანეთის რფფ), ლევან ფხაკაძე (სკ ტორპედო ქუთაისი), გოჩა როსტომაშვილი (კახეთის რფფ), ვიქტორ გრძელიშვილი (მცხეთა-მთიანეთის რფფ), გია შარაბიძე (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რფფ), გელა მაისურაძე (სამცხე-ჯავახეთის რფფ), მურად ანჯაფარიძე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფფ), ალექსანდრე ჩივაძე (ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი), გიორგი ფირცხალავა (ქალთა ფეხბურთის ასოციაცია), ვახტანგ ქორიძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფფ), გიორგი ასანიძე (საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი), ლაშა მინდელი (ქვემო ქართლის რფფ), ვლადიმერ ვარძელაშვილი (სკ დინამო თბილისი და სკ მგლები ზუგდიდი), დავით ნამგალაური (ფუტსალის ასოციაცია), ნუგზარ ლომთაძე (სკ სიონი, ბოლნისი), სერგო გაბელაია (სამხრეთ ოსეთის ფფ), გრიგოლ ცაავა (თბილისის ფფ).

მ. ჟ.

# წმინდა სახარება თანამედროვე ქართულად ითარგმნა

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ბიბლიის თარგმნის ჯგუფი თანამედროვე ქართულ ენაზე ახლად ნათარგმნი „წმიდა სახარების“ (ოთხთავის პრეზენტაციას გამართავს. გამოცემის წარდგენა საქართველოს საპატრიარქოში გაიმართება და მას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II დაესწრება.**

ბიბლიის თარგმნის ჯგუფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 20 წლის წინ შეიქმნა და მისი ხელმძღვანელია საპატრიარქოსთან არსებული წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის თავმჯდომარე, რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი). ჯგუფის მიზანია, ეკლესიის წიაღში ახალ ქართულ ენაზე ითარგმნოს ბიბლია (ძველი და ახალი აღთქმის წიგნები) წმიდა წერილის თარგმნის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შესაბამისად. ამ დრომდე ჯგუფის მიერ ახალი აღთქმის წიგნებიდან ცალ-ცალკე გამოცემულია მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებები, ხოლო ძველი აღთქმის წიგნებიდან — შექმნა და გამოსვლა. წმიდა სახარების თარგმანი შესრულდა ძველი ბერძნულიდან, ძველი ქართული თარგმანების და წმიდა მამების განმარტებების გათვალისწინებით, შეჯერდა სლავურ, ევროპულ და აქამდე ახალ ქართულ ენაზე არსებულ გამოცემებთან.

თანამედროვე ქართულ ენაზე ნათარგმნი „წმინდა სახარების“ წარდგენასთან ერთად, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში პოეტისა და მეცნიერის ია ქადაგიძის ისტორიულ-დრამატული პოემის „უფსკრულნაგები ჰანგები“-ს განხილვა გაიმართება, რომელიც ეძღვნება წმინდა მეფის სვიმონ I-ის მოღვაწეობას. ღონისძიება ია ქადაგიძისა და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ორგანიზებით მოეწყობა.

19 ივნისს კი საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში დიდი ქართველი პოეტის ტარიელ ხარხელაურისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო ჩატარდება. საღამოზე სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლის მოსწავლეები წაიკითხავენ პოეტის ლექსებს. ღონისძიებას მუსიკალურად გააფორმებენ ანსამბლები „ინანა“, „ლაზარე“ და „იავნანა“. საღამო თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლისა და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ორგანიზებით გაიმართება.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში უკვე შედგა ახალგაზრდა მეცნიერთა მეოთხე საერთაშორისო თემატური კონფერენციის დახურვის ცერემონია თემაზე იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ კულტურულ მემკვიდრეობად გამოცხადება. ღონისძიების მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ეჩვენებინა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ სწავლების მეთოდის უნიკალურობა, როგორც ქართველი ხალხის სულიერი საგანძურის მნიშვნელობა გლობალიზაციისა და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2003 წლის პარიზის საერთაშორისო კონვენციის, აგრეთვე გაეროს შეფასებებისა და რეკომენდაციების მნიშვნელობა მომავალი თაობებისათვის ახალი პერსპექტივების შესაქმნელად. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ იუნესკოს 2003 წლის საერთაშორისო კონვენციის მნიშვნელობა, სტუდენტებმა წარმოადგინეს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ იმ ლიმენტაციის საკითხები, გაიმართა სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნახატების გამოფენა — „დაიცავი დედაენა“, შედგა ნომინაციებსა და კონფერენციაში მონაწილეთა დაჯილდოება. კონფერენციის მასალები გაიგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამთავრობოთაშორისო კომიტეტში წარსადგენად. ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდისა და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ორგანიზებით მოეწყო.

საგანგებო საერთაშორისო სიმპოზიუმი მიეძღვნა ქართველ მოაზროვნესა და ფილოსოფოსს, მთარგმნელსა და სამონასტრო ცხოვრების ორგანიზატორს, წმინდა გიორგი მთაწმინდელს. საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საკონფერენციო დარბაზში წმინდა გიორგი მთაწმინდელის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა. საერთაშორისო კონფერენციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და ასევე ქართველი და უცხოელი მეცნიერები დაესწრნენ. შეხვედრაზე ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების ცხოვრებაზე და მათ მიერ ჩატარებულ კულტურულ და საგანამანათლებლო საქმიანობაზე ისაუბრეს. სტუმრებს სპეციალურად ამ დღისთვის წმინდანის ცხოვრების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნებიც დაურიგდათ.

— გიორგი მთაწმინდელს აქვს უდიდესი დამსახურება სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცების, ქართული კულტურისა და საერთოდ, ქრისტიანული ცივილიზაციის განვითარების საქმეში. ჩვენს ქვეყანაში აღდგა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობის ისტორიული ტრადიცია. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა ამგვარი ტრადიციის საუკეთესო მაგალითია, — ითქვა საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

წმინდა გიორგი მთაწმინდელის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი სახელწოდებით „ქართველი ათონელები და ქრისტიანული ცივილიზაცია“ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულმა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრმა გამართა. საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან და საქართველოდან.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)


# ბათუმი ჯაზფესტივალს უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

19-დან 24 ივლისის ჩათვლით ბათუმი რიგით მეხუთე შავი ზღვის ჯაზფესტივალს უმასპინძლებს. ჯაზფესტივალთან დაკავშირებით, „თბილისის ივენთ ჰოლში“ საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილი, ფესტივალის ორგანიზატორი კომპანია ისთერნ პრომოუშენსის დირექტორი მიშა გიორგაძე, გენერალური სპონსორის საქართველოს ბანკის წარმომადგენელი სოფო ბალავაძე უძღვებოდა.

ბათუმში მეხუთე შავი ზღვის ჯაზფესტივალის ოფიციალური წარმომადგენი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროა, ხოლო გენერალური სპონსორი — საქართველოს ბანკი. ფესტივალის მასპინძელია შერატონ ბათუმი, ხოლო ფესტივალის ორგანიზატორი — ტრადიციულად კომპანია ისთერნ პრომოუშენი. წელს ფესტივალი 6 დღის განმავლობაში გაგრძელდება. 4 სცენა, 21 ბენდი, 150-მდე მუსიკოსი სხვადასხვა ქვეყნიდან 37 შოუ და 11 ქვეყანა — ასეთია ბათუმში დაგეგმილი საიუბილეო შავი ზღვის ჯაზფესტივალის პროგრამა.

როგორც პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, წლევანდელ ფესტივალს ესტუმრებიან სთენლი ჯორდანი, ვირტუოზი გიტარისტი, თავის ტრიოსთან ერთად. ლეგენდარული ჯგუფი იელოუჯექეთსი, რომელიც წელს თავის მსოფლიო ტურით აღნიშნავს დაარსების საიუბილეო 30 წლისთავს. საქართველოში პირველად იქნება წარმოდგენილი გოსპელის სტილი და მას ბათუმში ლონდონ ქომუნითი გოსპელის გუნდი წარმოადგენს. ბათუმში ჩამოვა პოპის მეგა ვარსკვლავი მეისი გრეი, ორი გრემის და ორი ემტივის მუსიკალური ჯილდოს მფლობელი. სპეციალურად შავი ზღვის ჯაზფესტივალისთვის საქართველოს ესტუმრება დიჯეი ლოჯიქი. ის სამი დღის განმავლობაში მოაწყობს ჯემსეიშენებს. მენ ინ ბრასი კი სამი დღის განმავლობაში, დღეში 5□ჯერ კონცერტებს ბათუმის ქუჩებში გამართავს. კონცერტები ჩატარდება ევროპის მოედანზე, პიაცაზე და ძველ ბულვარში (კოლონადებთან). წელს პირველად ფასიანი კონცერტების გარდა, ჩატარდება უფასო კონცერტებიც, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსები გამართავენ. საფესტივალო დღეებში იქნება სპეციალური ადგილები, სადაც გაიყიდება სხვადასხვა სუვენირები ფესტივალის ლოგოთი. შავი ზღვის ჯაზფესტივალზე დასასწრები ბილეთების ფასი 40-დან 90 ლარამდეა.

ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალამდე საქართველოში უკვე დასრულდა „კავკასიის ჯაზ ფესტივალი 2011“. ღონისძიება თბილისში მეორედ ჩატარდა და მასში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუსიკოსები მონაწილეობდნენ. მუსიკალური ფესტივალის დახურვას თბილისის მერი გიგი უგულავა დაესწრო. აღნიშნული ფესტივალის მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონში ჯაზის განვითარებასა და მის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა მუსიკოსების აღმოჩენას. ფესტივალი თბილისის მერიისა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით ჩატარდა. კავკასიის ჯაზფესტივალი თბილისში ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამჯერად კი საქართველო უკვე ბათუმის ჯაზფესტივალის მოლოდინშია.

ჯაზ ფესტივალის პირველ 3 დღეს ჯაზის მოყვარულებს კონცერტებზე დასწრების საშუალება უფასოდ ექნებათ, ხოლო ბოლო 3 დღის განმავლობაში ბილეთები გაიყიდება. როგორც ჯაზფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ივლისის 6 დღე ბათუმს ჯაზისა და მუსიკის ქალაქად აქცევს.

# ვახტანგ მაჭავარიანი „რიგოლეტოს“ უდირიჟორებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კესტრი, გუნდი, მთავარ პარტიებს იმღერებენ — თეიმურაზ გუგუშვილი, სულხან გველესიანი, სოფიო გორდელაძე, გოჩა დათუსანი-ჯიღაური, ნატალია ვოლჩენკო, ვანო გალუაშვილი, ბონდო გოგია, თამაზ საგინაძე, ნათია მელქაძე, ლევან მაკარიძე.

დირიჟორის ამპლუაში მსმენელის წინაშე წარდგება ცნობილი ქართველი მუსიკოსი ვახტანგ მაჭავარიანი. ბოლო პერიოდი მაესტროსთვის განსაკუთრებით დატვირთულია. საკუთარი 60 წლის იუბილე მან რუსთაველის თეატრში აღნიშნა კონცერტით, რომელიც მოგვიანებით კონსერვატორიის დარბაზში გაგრძელდა, სადაც ქართველი საზოგადოების წინაშე პირველად წარდგა მისი ვაჟი 12 წლის ალექსი მაჭავარიანი პიანისტის ამპლუაში. მასთან ერთად ვახტანგ მაჭავარიანის საიუბილეო კოცნერტზე თამარ ლიჩელმაც დაუკრა. მაისის თვეში ვახტანგ მაჭავარიანმა მამას სახელობის ქუჩა გახსნა გორში, საქართველოს პრეზიდენტისგან მიიღო ბრწყინვალების ორდენი და უდირიჟორა დავით ევგენიძის „გალობანი სინანულისანის“, რომელიც დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

**ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:**

— საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდ დატვირთული ვარ, ეს ძალიან სასიხარულოა. ჩემს ქვეყანაში ხშირად ჩამოვდივარ. 18 ივნისს მსმენელთან შესახვედრად ისევ ვემზადები. წასული ვიყავი საზღვარგარეთ, მაგრამ ადვით ევგენიძის საღამოს „გალობანი სინანულისანი“ გამო ჩამოვედი თბილისში. ახლა დაემთხვა 18 ივნისის კონცერტი და ბარემ ეს ორი ღონიძიება ერთმანეთს გადავაბი. კონსერვატორიაში დაგეგმილი „რიგოლეტოს“ შემდეგ უკვე საქართველოდან გავემგზავრები.

***— და კიდევ როდის ჩამოხვალთ?***

— როცა კი დამიძახებენ, ჩემს ქვეყანაში სიამოვნებით ჩამოვალ. მთავარია იმ დროს ჩემი გრაფიკი იყოს თავისუფალი და თბილისში ჩამოსვლაზე უარს არასოდეს ვიტყვი.


## განცხადებები

● ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 858-21-77-93; 234-02-38 ფატი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 73-35-63. 893 93 40 36 ლიკა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● შევაკეთებთ ნებისმიერი სირთულის სარეცხ მანქანებს გარანტიით, ინდმეწარმე გოდერძი ადამია. ტელ: 899-63-62-32; 890-63-62-32.

● ქირავდება სასაწყობე და საწარმოო ფართი ქვემო ფონიჭალაში 2000 კვ.მ. შენობა, შენობის სიმაღლე 8 მ. ტერიტორიაზე შედის რკინიგზის ჩიხი. ტელ: 899-51-28-44 ან 899-73-75-73.

# „დინამოს“ „პრივატბანკი“ უსპონსორებს

თბილისის „დინამოს“ ახალი სპონსორი ჰყავს — „პრივატბანკი“. თანამშრომლობას ხელი ეროვნულ სტადიონზე მოეწერა, სადაც „დინამოს“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა „პრივატბანკის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბოგდან ლესიუკს „დინამოს“ 30-ნომრიანი ლურჯი მაისურა გადასცა და ადვილი მისახვედრია, რომ ეს ციფრი „დინამოს“ ისტორიული გამარჯვების თარიღს უკავშირდება.

ხელშეკრულება ერთწლიანია (პლუს, გაგრძელების პერსპექტივით) და როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სასპონსორო თანხა მილიონზე ნაკლები არ იქნება, რაცსაკმაოდ სოლიდური თანხაა ქართული კლუბების ფონზე.

ზურაბ პოლოლიკაშვილი:

— მოხარულები ვართ „პრივატბანკთან“ თანამშრომლობის დაწყებით. სასპონსორო თანხის დასახელებას ჯერ მოვერიდები, რადგან შევთანხმდით, რომ ეს კომერციულ საიდუმლოდ დარჩებოდა. ერთს კი ვიტყვი, თანხა ექვსნიშნა არ იქნება და მას ბევრად აღემატება.

„პრივატბანკი“ კიევის „დინამოს“ სპონსორიც არის და პრესკონფერენციაზე დაისვა კითხვა, ხომ არ იგეგმება თბილისისა და კიევის „დინამოს“ ამხანაგური მატჩის გამართვა.

— ჩვენ არა მარტო კიევის „დინამოსთან“, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ და სხვა გუნდებთანაც მატჩების გამართვაზე ვმუშაობთ. სამიოთხი ასეთი სპარინგ-მეტოქე შეიძლება, მაგრამ დროში შეზღუდულობის გამო, ეს იოლი გასაკეთებელი არაა. და მაინც, ამ საკითხზეც ვმუშაობთ.

ბოგდან ლესიუკმა კი თბილისის „დინამოზე“ აღმატებულ ხარისხში ილაპარაკა და განაცხადა, კიევის „დინამოს“ შემდეგ, საბჭოეთში სწორედ თბილისელებს ვქომაგობდიო.

— ძველ დროს რომ ვიხსენებ, ჩემთვის ყველაზე მაღლა ორი ფეხბურთელი იდგა — ლეონიდ ბურიაკი და დავით ყიფიანი. საბჭოთა კავშირში ბევრი კლუბი იყო, რომელიც 40-50-იან წლებში დაარსდა. თბილისის „დინამო“ კი 1925 წელს დაარსებული კლუბია, დიდი სახელი აქვს და ქართული ფეხბურთის ბრენდია. ხელშეკრულება ერთწლიანია, თუმცა ვიმედოვნებ, თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

ლესიუკმა ისიც აღნიშნა, რომ უკრაინის ჩემპიონატში კიევის „დინამო“ და „დნიპრო“ ქმნიან ამინდს (რა თქმა უნდა, დონეცკის „შახტართან“ ერთად) და ასევე, განაცხადა, რომ უკრაინა ღირსეულად უმასპინძლებს ევრო-2012-ს პოლონეთთან ერთად.„და ბოლოს: დღეს თბილისის „დინამოსა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შორის თანამშრომლობაზე ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდება. ეს პროცესი დაახლოებით ორი თვის წინ დაიწყო, ხოლო დღეს „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ენრიკე სერესო თბილისში, ეროვნულზე 13:00 საათზე პრესკონფერენციას გამართავს.

# ანდრეი კირილენკო რუსეთის ნაკრებს დაგეგმილზე ადრე შეუერთდება

ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მეტოქის, რუსეთის ლიდერი ანდრეი კირილენკო ნაკრებს 20 ივლისიდან შუერთდება. კირილენკოს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ეროვნული გუნდის 1 აგვისტოდან შეერთებოდა, თუმცა რუსეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრ კრასნინკოვმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დევიდ ბლატმა „იუტა ჯაზის“ ფორვარდს ნაკრების შეკრებაზე 20 ივლის გამოცხადება მოსთხოვეს.

— ველაპარაკე როგორც ფედერაციის პრეზიდენტს, ასევე ეროვნული ნაკრების მწვრთნელს — განუცხადა „სოვეტსკი სპორტს“ ანდრეი კირილენკომ — ჩვენსშორის იმდენად დიდი ნდობაა, რომ არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ გაგვიფორმებია. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე გადაწყვეტილი მქონდა, 1 აგვისტომდე დამესვენა, მე სიტყვიერად შევუთანხმდი პრეზიდენტს და მწვრთნელს, რომ რუსეთის ნაკრებს 20 ივლისიდან, სლოვენიურ შეკრებაზე შევუერთდები. ნაკრებში სათამაშოდ ფიზიკურადაც და მორალურადაც მზად ვარ, — განაცხადა კირილენკომ.

რუსულ გაზეთთან ანდრეი კირილენკომ მთავარ მწვრთნელზეც გააკეთა კომენტარი:

— გამეხარდა, როცა გავიგე, რომ დევიდ ბლატი რუსეთის ნაკრების მწვრთნელად დარჩა. ის ჩემთვის ყოველთვის იყო კარგი მწვრთნელის მაგალითი და რაც მთავარია, ნაკრებში ახალი ფორმაციის შემომტანი. ის ახერხებს, რომ ერთდროულად დესპოტიც იყოს და დიპლომატიც. საკმაოდ მკაცრია ვარჯიშებისას და განსაკუთრებით, ოფიციალური თამაშებისას. თუკი მწვრთნელს მაღალი ავტორიტეტი არ გააჩნია, მისი მუშაობა ნაყოფს ვერ გამოიღებს. ადრე თუ გვიან, მოთამაშე ხმას აიმაღლებს მისი მისამართით და ეტყვის მწვრთნელს: „ჰეი, მეგობარო, შენ შეგიძლია გვიყვირო, მაგრამ იცოდე, რომ ნაკრებში ჩვენ სათამაშოდ მოვედით და არა პელმენების საცხობად.“

# „ჩელსი“ — ორი კურდღლის მადევარი

„ჩელსიმ“ 25 წლის ხორვატი გამთამაშებლის, ლუკა მოდრიჩის სანაცვლოდ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ 22 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა და მზად არის ეს თანხა 25 მილიონამდე გაზარდოს. „სფურზის“ პირველი რეაქცია უარყოფითი იყო, თუმცა ინგლისში ეს ნამდვილ უარად არავინ მიიღო, ყველამ ვაჭრობად მიიჩნია.

მოდრიჩის ამბავს, ძალიან საინტერესო მხარეც აქვს და მისი დანახვა მარტივია: მასზე აქამდე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლაპარაკობდა პოლ სქოულზის შემცვლელად მჭირდებაო, ასე რომ, „ჩელსი“ ორი კურდღლის მოკვლას ცდილობს. ერთი ის, რომ თავად შეიძენს კარგ ფეხბურთელს და მეორეც — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ვეღარ გაძლიერდება.

ამრიგად, „ლურჯებმა“ ბაზარზე ძალიან სერიოზული ნაბიჯი გადადგეს და ხორვატის შეძენის საქმეში ფავორიტებიც არიან. „დეზებს“ რეალური შანსი გაუჩნდათ სარფიანად გაყიდონ ფეხბურთელი, რომელშიც ზაგრების „დინამოს“ 2008 წელს 16,5 მილიონი ფუნტი გადაუხადეს.

ლონდონური კლუბის მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს კი, მოდრიჩის დამატება ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე პრინციპულ ნაბიჯად მიაჩნია. თავის მხრივ, ხორვატი არც „ტოტენჰემის“ თავკაც ჰარი რედნაპს ეთმობა. ითქვა, რომ რედნაპს უპირველეს ყოვლისა, მისი „უაით ჰართ ლეინზე“ დატოვება უნდა, მაგრამ თუ დაინახავს, რომ ეს შეუძლებელია, სარფიან გასხვისებაზე უარს არ იტყვის. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აბრამოვიჩი ძალიან მონდომებულია და, შეეცდება „ნადავლი“ ხელიდან არ გაუშვას. რუსი მილიარდერი გაძლიერების გარდა თავისი გუნდის გაახალგაზრდავებასაც აპირებს.

ყველაფერი კი მაშინ ხდება, როდესაც „ჩელსის“ ჯერ კიდევ არ ჰყავს მწვრთნელი — სამსახურიდან გაშვებული კარლო ანჩელოტის ადგილი კვლავაც ვაკანტურია. თან, ეს ისტორია კარგად წარმოაჩენს, რა ტიპის მმართველიცაა აბრამოვიჩი. როგორც ხედავთ, ის თავის გემოზე ყიდულობს მოთამაშეებს და საკუთარ თავს არც კი უსვამს კითხვას: იქნებ, ისინი ჩემს მომავალ მწვრთნელს არ სჭირდება? როგორც ჩანს, მწვრთნელმა კეთილი უნდა ინებოს და თავისი შეხედულების მიუხედავად გამოიყენოს ის ხალხი, ვისი ყიდვაც მეპატრონემ საჭიროდ ჩათვალა.

„ჩელსის“ გაახალგაზრდავების პროექტი ვახსენეთ. სწორედ ამ პროექტის ნაწილია „სანტოსისგან“ 19 წლის ბრაზილიელის, ნეიმარის ყიდვის სურვილიც, მაგრამ დასავლეთლონდონელებს ოკეანის გაღმიდან შემოუთვალეს, რომ ისინი დროს ტყუილად ხარჯავენ.

— დღეს ჩვენ პოტენციურ სპონსორებს ნეიმარის შესანარჩუნებლად საჭირო ფულის გამოყოფაზე ველაპარაკებით. მისი ყიდვის ახალი მსურველები არ გამოჩენილან, ძველების შესახებ კი ყველამ ყველაფერი იცით და ისიც მოგეხსენებათ, რომ ვინც გინდა მოვიდეს, უარით გავისტუმრებთ, — ამბობენ „სანტოსის“ ხელმძღვანელები.

# საქართველომ მოიგო და უშანსოდ დარჩა



საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, რუმინეთში მიმდინარე ირბ-ს ერთა თასის მეორე რაუნდის შეხვედრაში, არგენტინის „იაგუარები“ მინიმალური სხვაობით დაამარცხა და თეორიულად ტურნირის მოგების შანსი შეინარჩუნა, თუმცა, მხოლოდ თეორიული, რომლის განხორციელება თითქმის ნულის ტოლია.

„იაგუარებთან“ მატჩში ჩვენების უპირატესობა თვალშისაცემი იყო. საქართველოს ნაკრები ბურთს მეტოქეზე მეტხანს აკონტროლებდა და ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდა. „ბორჯღალოსნები“ მეტოქეს რაქშიც და შერკინებაშიც სჯობდნენ, ბურთის გაშლას ცდილობდნენ, მაგრამ ისევ ტექნიკური წუნის გამო ვერ ახორციელებდნენ ბოლომდე და უფრო დიდი ანგარიშით რომ არ იმარჯვეს, მათივე ბრალია.

მთელი ტაიმ-ნახევარი მატჩი ისეთი სცენარით მიმდინარეობდა, რომ ქართველთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. პირველსავე წუთებზე, „ბორჯღალოსნებმა“ ზედ ცენტრში ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვეს და ბექა ურჯუკაშვილმა კარში დარტყმა გადაწყვიტა, მაგრამ დარტყმის ძალა ვერ გათვალა და ბურთმა ძელებამდე ვერ მიაღწია. საწყისმა ათმა წუთმა ქართველთა იერიშებში განვლო და ლელოს გატანის შესაძლებლობა იყო, მაგრამ მარჯვენა ფლანგზე ლექსო გუგავა გვერდით ხაზს იქით გადაიყვანეს, მერე კი, ფეხით შეგორებული ბურთი არგენტინელმა თავისსავე ჩათვლის მოედანში დაამიწა.

მე-10 წუთზე, არგენტინელები პირველად გადავიდნენ ქართველთა ნახევარზე. ისინი სწრაფად ცდილობდნენ ბურთის გათამაშებას და რიცხობრივი უპირატესობის მოპოვებას, თუმცა, გადაცემისას შეცდომა დაუშვეს, გუგავამ ბურთი ჩაჭრა და საკუთარი ნახევრიდან მეტოქის ჩათვლის მოედნამდე ირბინა და მატჩში ჩვენი გუნდის ერთადერთი ლელოს ავტორი გახდა. ურჯუკაშვილს რეალიზაცია გაუცუდდა — 5:0.

მეტოქემ ჩამორჩენის შემცირება მალევე მოახერხა, ბენჟამინ მადერომ კარის გასწვრივ 35 მეტრიდან ჯარიმა ზუსტად შეასრულა. ამას კვლავ ქართველთა იერიში მოჰყვა, 25-ე წუთზე გიორგი ბეგაძემ მეტოქის 22-ში რაქში მეტოქეს ფეხი ჩაარტყა და მსაჯმა დაუყონებლივ გაასინბინა.

საქართველოს ნაკრებმა რიცხობრივ უმცირესობაშიც მოახერხა ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა. მეტიც, არგენტინელებმა წესები დაარღვიეს და ურჯუკაშვილმა ჯარიმით უპირატესობა გაზარდა. 32-ე წუთზე, თავისი მეორე ჯარიმა მადერომაც გაიტანა და ტაიმი 8:6 დასრულდა.

მეორე ტაიმი ისევ საქართველოს უპირატესობით დაიწყო და რომ არა ბეგაძისა და ლაშა ხმალაძის შეუთამაშებლობა, ლელოს გატანაც შეიძლებოდა. თუმცა, ანგარიშში სხვაობა მაინც გაიზარდა. ჩვენებმა ლელოზე არ ითამაშეს და ურჯუკაშვილმა 54-ე და 62-ე წუთებზე ჯარიმები კარში დაარტყა და უპირატესობა რვა ქულამდე გაზარდა. ამის შემდეგ არგენტინელებმა ბურთზე კონტროლი დაამყარეს და საქართველოს ნაკრებმა ბოლო წუთები დაცვაში გაატარა. ერთია, დაცვის ხაზში ხარვეზები მაინც იყო და ანტონიო აჰუალიმ ლელო გაიტანა, სანტიაგო გონსალეს იგლესიასმა კი, რეალიზაციით სხვაობა მინიმუმდე დაიყვანა. შეხვედრის დასრულებამდე 12 წუთი რჩებოდა და „იაგუარებმა“ ეს დრო შეტევებში გაატარეს. 72-ე წუთზე, მათ დაწინაურების შანსიც მიეცათ, მაგრამ არცთუ ცუდი პოზიციიდან ჯარიმა ვერ გამოიყენეს, სულ ბოლოს კი, ბურთი ფეხით შეაცურეს, მაგრამ ის აუტში გავიდა და საქართველოს ნაკრებმა გამარჯვება იზეიმა.

— მთავარი მიზანი მიღწეულია. რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბე, რომელთაც მსოფლიო თასზე მოხვედრის შანსი აქვთ, საქმეში ვნახე და მათ მიერ გაწეული სამუშაოთი კმაყოფილი ვარ. ისინი მნიშვნელოვან პოზიციებზე თამაშობენ და კარგია, რომ ჩვენს გუნდში კონკურენცია იზრდება. ამის ფონზე, გამარჯვება ერთგვარი პრემიაა, — თქვა მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რიჩი დიქსონმა.

— ბურთს არასაკმარისად ვაკონტროლებდით და როდესაც ის ჩვენს ხელთ იყო, ძალიან ბევრ შეცდომებს ვუშვებდით. გარკვეულწილად, ჩვენზე სიცხემაც იქონია გავლენა, თუმცა საქართველოს ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია და გამარჯვებაც დამსახურებულად მოიპოვა, — დაგვიფასა გარჯა „იაგუარების“ მთავარმა მწვრთნელმა დანიელ ჰურკადემ.

საქართველოს ნაკრებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბექა ურჯუკაშვილი, ლექსო გუგავა, სანდრო თოდუა, რევაზ გიგაური, ირაკლი ჩხიკვაძე (ბესიკ ხამაშურიძე 58), ლაშა ხმალაძე, გიორგი ბეგაძე; ვასილ კაკოვინი (გოდერძი შველიძე 58), შალვა მამუკაშვილი (აქვსენტი გიორგაძე 58), დავით ქუბრიაშვილი (ვასილ კაკოვინი 73), ილია ზედგინიძე (ვახტანგ მაისურაძე 55), გიორგი ნემსაძე, სიმონ მაისურაძე, ვიქტორ კოლელიშვილი (გივი ბერიშვილი 41), დიმიტრი ბასილაია

სამხრეთაფრიკულმა „კინგზმა“ მეორე გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად მასპინძლები, რუმინეთის ნაკრები დაამარცხეს. დან დუმბრავას ადრეულ ჯარიმას, სტრიუდომ მე-5 წუთზე ჯარიმითვე უპასუხა. მერე მიჰაი ლაზარმა ლელოთი მასპინძლები დააწინაურა, მე-14 წუთზე, სტრიუდომ ჯარიმით ჩამორჩენა შეამცირა, ორიოდე წუთში კი, გრეიმ ლელოთი სამხრეთ აფრიკა დააწინაურა და რეალიზაციაც ზუსტი აღმოჩნდა — 13:8.

შესვენებამდე დუმბრავამ ორი ჯარიმით რუმინელებს ლიდერობა დაუბრუნა, მაგრამ 33-ე წუთზე, ერთი ზუსტი დარტყმა აფრიკელებმაც შეასრულეს და ტაიმი 16:14 მოიგეს.მეორე ნახევრის დასაწყისში, სტრიუდომი ფლანგზე გაიქცა და „კინგზის“ მეორე ლელო გაიტანა. ამას დუმბრავამ ლელოთი უპასუხა, მაგრამ აფრიკელებმა ჯერ ჯარიმით, მერე კი მზვანდილე სტიკის არეკნით უპირატესობა ათ ქულამდე გაზარდეს — 27:17. დასკვნითი მეოთხედი რუმინელების იყო, რომლებმაც მორკინალებით უტიეს და 30-ე და 33-ე წუთებზე, ვალენტინ კალაფეტეანუმ ჯარიმები ქულებში გარდასახა, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რუმინეთი 23:27 დამარცხდა და მხოლოდ პრემიალურ ქულას დასჯერდა.

კოკისპირული წვიმის აკომპანიმენტის ქვეშ ჩაიარა ნამიბიისა და პორტუგალიის ნაკრებების ჯახმა. ასეთ პირობებს ნამიბიამ მეტოქეზე უკეთ აუღო ალღო და დრამატულ მატჩში 29:23 იმარჯვა.

შეხვედრის დებიუტში გუნდებმა ჯარიმები გაცვალეს, მერე ფრანსისკო სერამ ჯარიმით პორტუგალია დააწინაურა, ხოლო 25-ე წუთზე, ჟოაო გონსალვეშ კორეამ ლელო გაიტანა და კაბრალმა რეალიზაცია გამოიყენა — 13:3. ტაიმის დასკვნით მონაკვეთში ნამიბიამ მოინდომა და ჯერ კოტზეს ჯარიმით ჩამორჩენა შეამცირა, შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე, უკანახაზელმა მაკგრეტ ვან ვიკმა ლელო გაიტანა, ხოლო კოტზემ რეალიზაციით წონასწორობა აღადგინა, ზედ შესვენების წინ კი, იმავე კოტზემ ჯარიმით იხეირა. დაიწყო მეორე ტაიმი და ლე რუმ ლელოთი პორტუგალია დააწინაურა, ხოლო კაბრალმა რეალიზაცია გამოიყენა. 51-ე წუთზე, კაბრალმა ორიოდე წუთით ადრე, კოტზეს მიერ გატანილ ჯარიმას უპასუხა და უპირატესობა კვლავ ოთხ ქულამდე გაზარდა. მერე ნამიბიელებმა ტაქტიკა შეცვალეს და 56-ე წუთზე პორტუგალია საჯარიმო ლელოთი დაისაჯა, კოტზემ კი რეალიზაცია გამოიყენა. 70-ე წუთზე, მან საკუთარ მონაგარს კიდევ ერთი ჯარიმა შემატა და ნამიბიამ 29:23 იმარჯვა.

ტურნირის დასკვნით დღეს, საქართველოს ნაკრები ნამიბიას ეთამაშება. შეხვედრა 20:00 საათზე დაიწყება და მისი შედეგი რეიტინგზე აისახება. ორი საათით ადრე, პორტუგალიის ნაკრები სამხრეთ აფრიკის „კინგზს“ ეთამაშება და თუ აფრიკელებმა იმარჯვეს, ტურნირის გამარჯვებული ნაადრევად გამოვლინდება. დასკვნით შეხვედრაში, მასპინძელი რუმინეთი არგენტინის „იაგუარებს“ ეთამაშება.

რუმინეთი-სამხრეთ აფრიკის კინგსი ........................23:27
პორტუგალია-ნამიბია ........................................23:29

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აფრიკელიმეფეები | 2 | 2 | 0 | 0 | 58:40 | 8 |
| 2.ნამიბია | 2 | 1 | 0 | 1 | 40:36 | 5 |
| 3.პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 48:50 | 5 |
| 4.რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 36:38 | 5 |
| 5.საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 31:44 | 4 |
| 6.იაგუარები | 2 | 0 | 0 | 2 | 34:39 | 2 |

მესამე რაუნდი. 19 ივნისი: პორტუგალია-სამხრეთ აფრიკის კინგსი; საქართველო-ნამიბია; რუმინეთი-არგენტინის იაგუარები

# შედეგები

## ფეხბურთი

**ეჩ-2011. ფინალური ეტაპი**

ჩეხეთი-ესპანეთი ........................ 0:2
უკრაინა-ინგლისი ........................ 0:0

**ლიბერტადორესის თასი**

**ფინალი. პირველი მატჩი**

პერიანოლი-სანტოსი ........................ 0:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი-ოფი. პირველი მატჩი**

გრანადა-ელჩე ........................ 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰაკა-კუუპიო ........................ 1:0
ჰიკი-როვანიემი ........................ 5:1

## კალათბურთი

**ეჩ-2011. ა დივიზიონი**

**ქალები**

უნგრეთი-გერმანია ........................ 56:67

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## წყალბურთი

**მსოფლიო ლიგა. სუპერფინალი**

**ქალები**

ავსტრალია-კანდა ........................ 10:8
აშშ-ჩინეთი ........................ 8:5
რუსეთი-ავსტრალია ........................ 12:9

## ფრენბურთი

**პანამერიკული თამაშები**

პანამა-ბაჰამის კუნ. ........................ 3:1
ბრაზილია-ვენესუელა ........................ 3:0
აშშ-არგენტინა ........................ 3:0
კანადა-დომინიკების რეს. ........................ 3:0

## ჩოგბურთი

**ატპ. ისტბურნი. ბალახი**

კუნიცინი-მარჩენკო ........................ 6:3;1:6;2;6
ანდერსონი-დიმიტროვი ........................ 3:6;2:6
ტიპსარევიჩი-უორდი ........................ 6:3;4;6;6:2
სეპი-იანგი ........................ 7:6;6:3
ბენეტო-დევ ვარმანი ........................ 7:6;6:7;6:3
ცონგა-შტეპანეკი ........................ 2:6;3;6
როხუსი ო.-ბერლოკი ........................ 3:6;7:6;7:6

**ატპ. ჰერტოგენბოში. ბალახი**

ბერერი-ჰირალდო ........................ 6:7;3;6
მალისე-ჰუტაგალუნგი ........................ 7:6;6:4
ნიემინენი-გრემელმაიერი ........................ 6;7;6:2;6:7
ბაგდატისი-ჰაასე ........................ 7:5;6:4

**ვტა. ისტბურნი. ბალახი**

სტოსური-იოვანოვსკი ........................ 6:3;6:2
ზვონარევა-უილიამსი ს. ........................ 3:6;7:6;7:5
რადვანსკა!ა.-სკიავონე ........................ 6:3;6:2
ბარტოლი-მარტინეს სანჩესი ........................ 6:3;6:3
ლი-ჰანტუჩოვა ........................ 6:7;3:6
ვტა. ჰერტოგენბოში. ........................ ბალახი
ფლიპკენსი-ლარსონი ........................ 2:6;7;5;4:6
კუზნეცოვა-ერანი ........................ 3:6;7:6;6:1

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ფინალი 4 მოგებამდე**

ვანკუვერი-ბოსტონი ........................ 0:4
სერიის ანგარიში ........................ 3:4

# ჩვენგან იმაზე მეტს ელიან, ვიდრე შეგვიძლია

**„რვიანსა“ და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების პერსპექტივებსა და ვაშინგტონის კარნეგის ცენტრში ბრიტანელი ექსპერტის, თომას დე ვაალის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევათა ფონდის ხელმ ღვანელს ალექსანდრე რონდელს ესაუბრა.**

***— ბატონო ალექსანდრე, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება „რვიანთან“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თემაზე მოლაპარაკებების გაგრძელებაზე პრაქტიკულად უარს აცხადებს, „რვიანის“ წევრები ბრძოლის წარმოების ფორმებზე ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ, რაც, სულ მიცრე, იმაზე მიუთითებს, რომ „რვიანში“ ყველაფერი მთლად კარგად არ არის. თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს „რვიანი“ ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებას და საარჩევნო გარემოს რეალურად გაუმჯობესებას?***

— ამ დეტალებში საკმარისად გარკვეული არა ვარ, მაგრამ ჩემი და ალბათ ჩვენ ქვეყანაში მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილია, მოლაპარაკების მაგიდასთან მოხდეს ყველა სადაო საკითხის გარკვევა. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ეს გარდაუვალია. ორივე მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მოხდეს ყველა პოლიტიკური საკითხი მოგვარება. ეს ორივე მხარეს შეუძლია. „რვიანი“ ჩვენი საზოგადოების გარკვეულ სეგმენტს წარმოადგენს და, ბუნებრივია, რომ უკვეა ანგარიშგასაწევი ძალა. ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, მითუმეტეს დაჯგუფება, ანგარიშგასაწევია. მოლაპარაკებების წარმოების სხვადასხვა ხერხები არსებობს და, ისევე, როგორც ხელისუფლებას, „რვიანსაც“ სჭირდება ამ ტაქტიკის შემუშავება. მართალი გითხრათ, მოლაპარაკებების დეტალებში კარგად გარკვეული არ ვარ.

***— ფაქტია, რომ მოლაპარაკებები ჩიშხია შესული და რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება მოლაპარაკებების გაგრძელებას არც აპირებს . . .***

— ჩიხი შეიძლება ყოველთვის შეიცვალოს რაღაცა გზით. ჩიხი ხომ ციდან ჩამოვარდნილი არ არის. ჩიხი ხომ ორივე მხარის ქმედების შედეგია. ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიციის მოთხოვნები გადამეტებულია, ხოლო ოპოზიცია, როგორც წესი, აცხადებს, რომ მოთხოვნები სამართლიანია. ჯერ კიდევ არის დრო და ვიმედოვნებ, რომ საარჩევნო გარემოსა და კანონმდებლობის საკითხში ხელისუფლება და ოპოზიცია გამოსავალს ერთიანად მოძებნიან.

***— ბევრი მიიჩნევს, გარდა იმისა, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გადაჭარბებული მოლოდინი არსებობს, უშედეგოდ არ დასრულდება ამჯერად „რვიანის“ დისკრედიტაციის ხელისუფლების მცდელობა. რამდენად სავარაუდოა, რომ რადიკალური ოპოზიციის შემდეგ ხელისუფლებამ შეძლოს უკვე „რვიანის“ პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორება?***

— სიტყვა დისკრედიტაცია ზუსტად არ ასახავს ვითარებას. ოპოზიციის იმ ნაწილის დისკრედიტაცია, რომელიც რადიკალური არ არის, საჭირო არ არის და არც ხდება. ორივე მხარეს თავისი ინტერესები აქვს და ამ ინტერესების დაცვას ცდილობს. ქვეყანისთვის ოპოზიციის არარსებობა ძალიან ცუდია. ისე, არა მგონია, რომ ხელისუფლება რომელიმე ძალის დისკრედიტაციას მიზანმიმართულად ცდილობს.

***— ყოფილი ჟურნალისტი და ბრიტანელი მწერალი თომას დე ვაალი, რომელიც ახლა ვაშინგტონის კარნეგის ცენტრის ექსპერტია და კავკასიის საკითხებზე საკმაოდ დიდი ხანია, მუშაობს, აცხადებს - სააკაშვილის ხელისუფლებას ანგარიშვალებულების დეფიციტი აქვს და ქვეყანას ერთპარტიული სახელმწიფოდ გადაქცევის საფრთხეს უქმნის, მაგრამ იქვე დასძენს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ქვეყანაში არა ჰყავს სერიოზული ოპოზიცია. თქვენი აზრით, რამდენად მართებულად აფასებს ბრიტანელი მკვლევარი საქართველოში არსებულ ვითარებას?***



— ყველა მკვლევარს, რაც არ უნდა ცნობილი და გამოცდილი იყოს, კარგად იცნობდეს რეგიონს, თავისი სუბიექტური ხედვა აქვს. როცა ესა თუ ის ქვეყანა გარდამავალ პერიოდშია, ბევრი რამ იცვლება და თუ პოსტრევოლუციური ვითარებაა, სუბიექტური ხედვა უფრო აშკარად ჩანს. ბოლო პერიოდში საქართველოზე საკმაოდ მძაფრი კრიტიკის შემცველი მასალები დაიბეჭდა, მაგრამ ამავე სტატიის ავტორები ყოველთვის აღნიშნავენ, რომ ამავე დროს საქართველოში ძალიან ბევრი კარგი კეთდება. ყველა ამ მასალაში საუბარია იმაზე, რომ საქართველო უკეთესი უნდა იყოს, ვინაიდან საქართველო მაინც გამოირჩევა პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარების თავისი დინამიზმით. ყველას, ვინც საქართველოს სწავლობს, უნდა, საქართველო უკეთესად გამოიყურებოდეს. ჩემი აზრით, ამ ავტორთა სუბიექტივიზმი სწორედ ამაში გამოიხატება. მეჩვენება, რომ ხანდახან ჩვენგან იმაზე მეტს ელიან, ვიდრე რეალურად შეგვიძლია. ფაქტია, საქართველოში ბევრი რამ კეთდება, მაგრამ მათ უნდათ, რომ საქართველო დემოკრატიულობის თვალსაზრისით ყველასთვის მართლაც სამაგალითო იყოს. ხშირად დასავლელ მკვლევართა სუბიექტივიზმი და კრიტიკა სწორედ იმ მოლოდინიდან მომდინარეობს, რომ მათ უკეთესი საქართველო უნდათ. იმაში, რომ ერთნი კრიტიკულად, ხოლო მეორენი აღფრთოვანებით წერენ საქართველოზე, ვერაფერ განსაკუთრებულს ვერ ვხედავ, ვინაიდან ჩვენ ახლა ერისა და სახელმწიფოს მშენებლობის ურთულეს პროცესში ვართ. ამიტომ, მე ბატონ ვაალისა და სხვა მკვლევართა სტატიებს, როგორც საინტერესო მოვლენად და იმ პროცესებში გარკვევის მცდელობად ვაფასებ, რომელიც ჩვენთან ახლა მიმდინარეობს. როგორც წესი, ყველა ამ მკვლევართა საერთო შეფასებები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. უმრავლესობა, ვინც საქართველოზე წერს და იკვლევს, თუ ის ჩვენი მოწინააღმდეგ ქვეყნის ინტერესებს არ ატარებს, საქმეს სერიოზულად უდგება და მათი ანალიზი ჩვენთვის საყურადღებოა. ჩვენ მათ აუცილებლად უნდა ვეცნობოდეთ, რაღაც მივიღოთ, რაღაც არ მივიღოთ. ის, რომ ყველას შესახებ, მათ შორის საქართველოზე ბევრი რამ იწერება, ეს ნორმალური პროცესია.

***— იგივე ექსპერტი მიიჩნევს, რომ “არაფორმალური, იმპროვიზებული მართვის გამო საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების აშენება და ქვეყნისათვის გრძელვადიანი განვითარების მოდელის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება და ახლა მის წინაშე თავის თავის ხელახლა გამოგონება უმთავრესი გამოწვევაა. ეთანხმებით თუ არა ბრიტანელი ექსპერტის ამ მოსაზრებას და რამდენად სავარაუდოა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ შეძლოს თავის თავის ხელახლა გამოგონება და იმ გამოწვევებზე ღირსეული პასუხების მოძებნა, რომელიც როგორც მის წინაშე, ასევე ქვეყნის წინაშე რეალურად დგას?***

— ნებისმიერი ქვეყნის ხელმძღვანელობა პოლიტიკური ბრძოლისა და პროცესების რეალურ გარემოში მუშაობს. ჩვენ კი მათ ქმედებებს იდეალური ფასეულობებიდან და შეხედულებიდან გამომდინარე, უნივერსალური კრიტერიუმებით ვაფასებთ. მაგრამ რეალობა, თითქმის ყოველთვის განსხვავებულია. საქართველო მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც დემოკრატიას აშენებს, ფორმალურად 20 წელია, მაგრამ სინამდვილეში ბევრად ნაკლებია. არა მგონია, იმაზე მეტის გაკეთება ყოფილიყო შესაძლებელი, რაც დემოკრატიის თვალსაზრისით უკანსკნელ წლებში გაკეთდა. შესაძლოა, 10%-ით მეტის ან ნაკლების გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ რეალურ ვითარებაში ვართ და ის რეალობა უნდა გავითვალისწინოთ, რომელშიც ვცხოვრობთ. მხედველობაში მაქვს ომი, მეზობლის მტრობა და ის, რომ გამოცდილება არა გვაქვს. არა მგონია, სააკაშვილის გუნდი იყოს მათემატიკურად ისე კარგად გათვლილი ინსტრუმენტი, რომ ყველაფერი შეუცდომლად და ემოციის გარეშე აკეთოს. ბუნებრივია, ისინიც ადამიანები არიან, გარკვეული გამოცდილება რაღაცაში აქვთ, რაღაცაში არა აქვთ, აკეთებენ ისე, როგორც ხედავენ. ჩვენი საქმეა, შევაფასოთ, კარგია თუ ცუდი მათი საქმიანობის შედეგი. ასე რომ, ამის უფლება თომას დე ვაალსაც აქვს, მეც, თქვენც და ყველას. შესაძლოა, ბევრი რამ არც მე მომწონს, მაგრამ მე ყველაფერ ამას ვუყურებ, თუ რა არის უმცირესი ბოროტება.

ქვეყანას კი, ბევრი რამე ვნებს, მათ შორის ჩვენი ჩამორჩენილობა და მენტალიტეტი. მთავარი ამ შემთხვევაში ხელისუფლების შეცდომები კი არა, სწორედ ჩვენში არსებული პრობლემებია. მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენ თავად არ ვართ ბევრი რამისთვის მზად. შესაძლოა, ვინმეს ცინიკურად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ ზუსტად იმდენი დემოკრატია გვაქვს, რამდენსაც - ვიმსახურებთ. საზოგადოება დემოკრატიზაციის პროცესშია. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ეს რთული, მტკივნეული და არა სწორხაზოვანი პროცესია. სწორხაზოვანი რომ იყოს, მაშინ პროცესები ძალიან ნელა განვითარდებოდა, ჩვენთან კი ყველაფერი სწრაფად ვითარდება. ვხედავ გადაცდომებს, მაგრამ არა კატასტროფულ შეცდომებს.

რაც შეეხება იმას, შეძლებს თუ არა ხელისუფლება გამოწვევებზე პასუხების გაცემას. ხელისუფლება სწორედ იმისთვის არის, რომ ამ კითხვებზე პასუხები მოძებნოს. თუ ამგვარ პასუხებს ვერ მონახავს, ხელისუფლებაში ვერ დარჩება. ვინმე თუ ფიქრობს, რომ იცის, რა არის ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი და სწორი მოდელი, მოვიდეს და თქვას. ნუთუ ვინმე არის ისეთი, ვინაც ზუსტად იცის, რა არის ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისთვის სწორი მოდელი? სამწუხაროდ, პოლიტიკა ხშირად ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაა, რაც ცვალებადი გარემოს მიმართ შეგუებას ითვალისწინებს. ჩვენ პატარა ქვეყანა კი ვართ, მაგრამ მზარდი განვითარებისა და ზრდის პერიოდში ვართ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენ ძალიან ბევრი რამეს გზადაგზა კიდეც ვსწავლობთ და კიდეც ვაკეთებთ. მათემატიკურად გათვლილი ნაბიჯების გადადგმა ვერ ხერხდება. ზოგჯერ ისეთი რამ გამოხტება ხოლმე, რომ ყველასათვის აბსოლუტურად მოულოდნელია.

***— ვაალის მიერ კარნეგის ცენტრში საქართველოზე გაკეთებულ მოხსენებაში თვალშისაცემი იყოს ის გარემოება, რომ საქართველოზე საუბრისას არ უხსენებია ქვეყნის წინაშე არსებული გარე საფრთხეები, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია. რას შეიძლება ეს ნიშნავდეს?***

— მან გადაწყვიტა, ერთი მიმართულებით გაეკეთებინა თავისი კვლევა და შეფასებები. როგორც ჩანს, ბატონმა ვაალმა კვლევისას საკითხთა ერთ ჯგუფზე გაამახვილა ყურადღება, რამაც სხვა საკითხები დაჩრდილა. შესაძლებელია, შერჩეულ საკითხთა წრის მიღმა, თქვენს მიერ ნახსენები თემების ჩრდილში დატოვებით მოხსენება ისეთი კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი არ გამოვიდა, როგორიც მოსალოდნელი შეიძლება ყოფილიყო. ყველა გამოკვლევა კონკრეტულ მიზანს ემსახურება. შესაძლოა, კვლევის მიზანი სწორედ ერთი თემისა და თეზისის წინწამოწევა იყო. იმას, რომ ბატონმა ვაალმა თქვენს მიერ ნახსენებ საკითხებზე ყურადღება არ გაამახვილა, შემთხვევითობად არ განვიხილავ. მას საქართველოზე გარკვეული შეხედულებები აქვს, საქართველოს საკმაოდ კარგად იცნობს და თავისი ხედვაც აქვს. გარდა ამისა, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი თავისივე ქვეყნის კულტურის შვილია. იგი მოვლენებს ისე ხედავს და აფასებს, როგორც დასავლური ღირებულებები ავალდებულებს. ხშირად მისი შეხედულებები მართლდება, ხშირად არ მართლდება. ის, რომ საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის პროცესი ურთულეს საკითხებს უკავშირდება, ამაზე თვალის დახუჭვა არც შეიძლება.

**ინტერპრესნიუსი**

# „ქართული სული“ დაიხურა

*ეკა ირემაშვილი*

**ქართული ხელოვნების ფესტივალი „ქართული სული“, რომელმაც წელს მთელი საქართველო მოიცვა, თბილისში დასრულდა. ფესტივალის გახსნა წელს მესხეთში — ვალესა და ახალციხეში თამარ მეფისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ორდღიანი კონფერენციით შედგა. ფესტივალის ფარგლებში სოფელ არალის წმინდა ნინოს სხელობის ტაძარში თამარ მეფისადმი მიძღვნილი სავედრებელი პარაკლისი შესრულდა.**

მესხეთის შემდეგ ფესტივალი თბილისში გაგრძელდა. მერაბ ბერძენიშვილის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. პოეტის ლექსები მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა წაიკითხეს, ქართული ესტრადის მომღერლებმა კი გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი სიმღერები წარმოადგინეს. საღამოს დასრულების შემდეგ სპეციალურად ამ დღისთვის კომპანია „ქართული მეღვინეობის“ მიერ ჩამოსხმული ცქრიალა ღვინის „გალაკტიონი“ დეგუსტაციაც მოეწყო.

ფესტივალის დამაგვირგვინებელი აკორდი ანსამბლ „ქართული ხმების“ 25 წლის იუბილე აღმოჩნდა. საგანგებო კონცერტზე ანსამბლის წევრებმა საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერები შეასრულეს და განსაკუთრებული სითბოთი გაიხსენეს ანსამბლის ოთხი გამორჩეული წევრი — ზაურ ბოლქვაძე, გოგი დოლიძე, გურამ თამაზაშვილი და დავით გოგიაშვილი იგივე თავგასა, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან. ანსამბლის წევრებმა მათ „ოთხი დაკარგული სიმღერა“ უწოდეს. „ქართული ხმები“ 25 წლის შემდეგ მაყურებლის წინაშე ფილარმონიის სცენაზე პირველი შემადგენლობით წარდგა. საღამო, რომელიც წელიწადის ოთხ დროს ასახავდა, ანსამბლის ოთხი გარდაცვლილი სოლისტის ხსოვნას მიეძღვნა. ანსამბლის წევრებმა ცხრა ფოლკლორული კომპოზიცია შესრულეს. სცენაზე დამონტაჟებულ მონიტორზე კი დოკუმენტური კადრები გადიოდა, რომელიც მუსიკალური კოლექტივის მოღვაწეობას ასახავდა. სპეციალურად ანსამბლის საიუბილეო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად კორსიკელი შემსრულებლებიც ჩამოვიდნენ. საიუბილეო ღონისძიება თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა. წელს იუბილარია „ქართული ხმების“ საბავშვო სტუდიაც. მათ დაარსებიდან ხუთი წელი შეუსრულდათ. ამ თარიღთან დაკავშირებით მოზარდმაყურებელთა თეატრში ანსამბლის საიუბილეო კონცერტი გაიმართა, რომელშიც „ქართული ხმებიჩს“ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## ჯიოსვოიჲი ბ

**შვეულად:** 1. უკრაინული ლუდი; 2. პეპლების საჭერი ბადიანი მოწყობილობა; 3. ორკუზიანი აქლემი; 4. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. რძეში მოზელილი, კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური; 9. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 12. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 14. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 16. ზღვის დიდი კიბორჩხალა.

**თარაზულად:** 1. ნატოს გენერალური მდივანი; 6. მაღალმთიანი ტბა ნინოწმინდის რაიონში; 7. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ნავსადგური კუნძულ კორსიკაზე; 10. მდიდრული სახლი ქალაქგარეთ; 11. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 13. სამკითხაო ქვიშა; 15. მაგიდის პოპულარული სათამაშო; 17. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 18. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 19. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში; 20. ზღვისპირა კურორტი ყირიმში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. „ფორბსი“; 2. გულანი; 3. ტოკაი; 5. ზული; 6. „როგანი“; 8. ხოხობი; 11. ტაქსოფონი; 13. წუმწუმა; 14. დიურერი; 15. დარჯაკი; 19. რალი.

**თარაზულად:** 1. ფარენგეიტი; 4. მენზურა; 7. „რუმბულა“; 9. აპლომბი; 10. ატენი; 12. პროტესტი; 16. რიტორიკა; 17. იმპორტი; 18. „კრაისლერი“; 20. ნებიერი; 21. გაჯი; 22. ილუზიონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სირაჯი; 2. „ლეგო“; 3. პათოლოგია; 4. ტაიჭი; 5. მანტისა; 8. იაფეტი; 9. პოლიფონია; 12. ჩუვაჩი; 14. როტორი; 16. ესაძე.

**თარაზულად:** 1. სერვოლანი; 6. „მარაკანა“; 7. „რასინგი“; 9. პილონი; 10. კილი; 11. ბეითალი; 13. გორდა; 15. ბურიძე; 17. ბანდიტი; 18. ქაფშია; 19. პიარნუ; 20. ბეთანია.

# სომხეთი თურქეთთან ურთიერთობისათვის მზადაა

**სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ტიგრან სარქისიანმა ბიბისისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მზად არის თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისათვის რაიმე წინასწარი პირობების წაყენების გარეშე.**

სარქისიანის თქმით, სომხეთი მოხარული იქნება, თუკი თურქეთის მხარე იმავე დასკვნამდე მივა და მიიჩნევს, რომ 21-ე საუკუნეში დახურული საზღვრების ქონა უაზრობაა.

სომხეთის პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ თურქეთი 2009 წელს ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში იმოქმედებს, რომლის თანახმადაც, ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობა უნდა დამყარდეს.

თურქეთ-სომხეთის საზღვარი 1993 წლიდს შემდეგ დახურული რჩება. მაშინ, ყარაბაღის ომის დროს, თურქეთმა აზერბაიჯანთან სოლიდარობის ნიშნად სომხეთთან კავშირი გაწყვიტა.

ოფიციალურ ანკარას, ისევე, როგორც აზერბაიჯანს, ყარაბაღი სომხეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ აზერბაიჯანის ტერიტორიად მიაჩნია.

2009 წელს სომხეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ორმხრივი ურთიერთობის განვითარების შესახებ.

მოგვიანებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კვლავ გაუარესდა.

ანკარისა და ერევნის უთანხმოების მიზეზად 1915 წლის მოვლენების შეფასება იქცა. სომხეთი ამტკიცებს, რომ ოტომანთა იმპერიაში სომხების დეპორტაცია და მკვლელობები გენოციდად უნდა იქნეს მიჩნეული.

მრავალი წლის განმავლობაში სომხეთი ამ მოვლენების გენოციდად აღიარების კამპანიას აწარმოებდა. მიმდინარე მომენტისათვის შესაბამისი დოკუმენტები მსოფლიოს 20-მდე ქვეყანამ მიიღო.

თურქეთი უარყოფს ბრალდებებს პირველი მსოფლიო ომის დროს სომხების მასობრივი დახოცვის შესახებ და, ტრადიციულად, სომხეთის მხარდამჭერი ქვეყნების კრიტიკაზე მეტად მტკივნეულად რეაგირებს.

აზერბაიჯანთან ურთიერთობის შესახებ საუბრისას სომხეთის პრემიერმა განაცხადა, რომ რეგიონში ძალთა თანაფარდობის შენარჩუნებაა საჭირო.

სარქისიანის თქმით, რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება ომისათვის მზადებაა.

სომხეთის პრემიერის განცხადების კომენტარის სახით აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ელხან პოლუხოვმა განაცხადა, რომ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და აღდგენის მიზნით ძალის გამოყენება დაშვებულია.

მისი თქმით, სომხეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიიდან თავისი შეიარაღებული ძალების უსიტყვო გაყვანა უნდა დაიწყოს და რეგიონში სამხედრო რიტორიკა მაშინვე შეწყდება.

ამასთან, ბაქო სომხეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების პერსპექტივებს ხედავს, მაგრამ მოლაპარაკებების მხოლოდ მოლაპარაკებებისათვის, ანუ კიდევ 15-20 წლით გაგრძელება არ სურს.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები და საერთაშორისო საზოგადოებრიობა გარკვეულ იმედებს აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე ამყარებენ, რომელიც მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს ყაზანში უნდა გაიმართოს.

# ანჯელინა ჯოულის სირიელებთან სტუმრობის ნება დართეს



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელკუკ უნალმა ოთხშაბათს გამოაცხადა, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავი ანჯელინა ჯოული, რომელიც შეთავსებით გაეროს კეთილი ნების ელჩიც გახლავთ, თურქეთის მთავრობის მიერ სირიელ ლტოლვილთათვის გამართულ ბანაკებში სტუმრობის უფლებას მიიღებს.

როგორც ცნობილია, სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი რამდენიმე თვეა ანტისამთავრობო დემონსტრაციის მონაწილეების, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ არმიას იყენებს. 8 ათასზე მეტმა სირიელმა სამშობლო დატოვა და თურქეთს შეაფარა თავი. ლტოლვილთა შორის არიან სამხედროებიც, რომლებმაც თანამემამულეების დახოცვას დეზერტირობა ამჯობინეს.

ზოგი მათგანი ქალაქებში, სადაც ოპოზიციის აქციები იმართებოდა, მშვიდობიან მოსახლეობასთან მკაცრი ანგარიშსწორების შესახებ საუბრობს. ერთი ჯარისკაცის თქმით, იგი ნაწილიდან მას შემდეგ გაიქცა, რაც მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ცეცხლის გახსნა უბრძანეს. მისი თქმით, მასობრივი მკვლელობა და გაუპატიურება სირიის უშიშროების ძალების მიერ ოპოზიციის გამოსვლების ჩახშობის ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა.

ანჯელინა ჯოული თვე-ნახევრის წინ ლიბიისა და ტუნისის საზღვარზე ლიბიელი ლტოლვილების ბანაკს ეწვია. მისი ვიზიტის ხანგრძლივობა უსაფრთხოების მოსაზრებებით მინიმუმამდე შეამცირეს.

ტუნისის ოფიციალური სააგენტოების თქმით, მსახიობს ლტოლვილთა ბანაკში თბილად შეხვდნენ.

# ჰაკერებმა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის საიტი „გატეხეს“

ჰაკერების ჯგუფმა, რომელიც საკუთარ თავს „ლალზ სექიურითის“ უწოდებს, აშშ-ის ცსს ინტერნეტ-საიტის მწყობრიდან გამოყვანის პასუხისმგებლობა იტვირთა.

სიაიეი დოთ ჯიოუვი საიტი ოთხშაბათს არ მუშაობდა და მუშაობა ხუთშაბათს განაახლა.

ჰაკერების ჯგუფმა გამოაქვეყნა სპეციალური ტელეფონის ნომერი, რომელზეც ნებისმიერ მსურველს შეუძლია დარეკოს და ჰაკერებს გასატეხი საიტი შესთავაზოს.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რამ გამოიწვია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიტის მწყობრიდან გამოყვანა, ჰაკერების მოქმედებამ თუ საიტის მუშაობის შესამოწმებლად მრავალრიცხოვანი მომხმარებლების ერთდროულმა მიმართვამ.

„ლალზ სექიურითის“ ჰაკერებმა ყურადღება მანამდე კომპანია „სონის“ და „ნინთენდოს“ საიტების „გატეხით“ მიიპყრეს. მათ, გარდა ამისა, რამდენიმე ამერიკული ტელეკომპანიის, ასევე აშშ-ის სენატეს საიტი დააზიანეს.

ოთხშაბათს ჯგუფის განცხადებით, მისი წევრები რამდენიმე საიტზე თავდასხმას შეუდგნენ. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია ცსს-ის საიტის მწყობრიდან გამოსვლის შესახებ.

„ლალზ სექიურითის“ შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. მისი წევრები ჰაკერები და ინტერნეტში თავისუფლების კამპანიის აქტივისტები არიან.

ჰაკერების აზრით, ის ორგანიზაციები, რომლებიც მათი თავდასხმების სამიზნე ხდებიან, ინტერნეტში მოქალაქეების ან მომხმარებლების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.

ამ ჯგუფმა სახელი „სონიფიქჩერზ დოთ ქომ“ საიტზე თავდასხმის შემდეგ გაითქვა. მათ კომპანია „სონის“ მიერ მომხმარებლების პირადი ინფორმაციის დაცვის სისტემაში სისტემური შეცდომები აღმოაჩინეს.

ჰაკერების სხვა ჯგუფთან, „ანონიმოუსთან“ ერთად „ლალზ სექიურითი“ ცდილობს, საზოგადოების ყურადღება კომერციული კომპანიების ინტერნეტ-საიტების უსაფრთხოების სისტემის ხარვეზებზე გაამახვილოს.

# ალ კაიდას ზავაჰირი ჩაუდგა სათავეში

ალ კაიდას ახალ ლიდერად აიმან ზავაჰირი დაასახელეს. მისი ვიდეოკლიპი ინტერნეტში, ერთ-ერთ ჯიჰადურ საიტზე გამოქვეყნდა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ შეიხმა დოქტორმა აიმან ზავაჰირიმ ორგანიზაციის ამირის, ხელმძღვანელის უფლებამოსილება იტვირთა.

ალ კაიდამ განაცხადა, რომ აშშ-ისა და ისრაელის წინააღმდეგ „წმინდა ომის“ გაგრძელებას აპირებდა.

ზავაჰირი განათლებით ექიმია. იგი უსამა ბინ ლადენის სიცოცხლეში ალ კაიდას მნიშვნელობით მეორე პიროვნებად იყო აღიარებული.

სავარაუდოდ, 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი ტერაქტები სწორედ მან დაგეგმა და ჩაიფიქრა.

ერთი კვირის წინ გავრცლებულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ უსამა ბინ ლადენი აშშ-ს იმ ქვეყნიდანაც თავზარს დასცემდა.

წარმოშობით ეგვიპტელი აიმან ზავაჰირი აშშ-ის მთავრობის მიერ 2001 წელს გამოქვეყნებულ ყველაზე ძებნილი 22 ტერორისტის სიაში მოხვდა. ამ სიაში იგი უსამა ბინ ლადენის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებოდა და მისი თავი 25 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

ზავაჰირი, სავარაუდოდ, ავღანეთისა და პაკისტანის საზღვარზე იმალება, რეგიონში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი სუსტია და ძალაუფლება ადგილობრივი ტომების ხელშია.

აღსანიშნავია, რომ უსამა ბინ ლადენსაც აქ ეძებდნენ, მაგრამ შემდეგ ქალაქ აბოტაბადში, პაკისტანის უფრო განვითარებულ ნაწილში აღმოაჩინეს.

როგორც ვარაუდობენ, აიმან ზავაჰირის მეუღლე და შვილები ჯერ კიდევ 2001 წელს ამერიკელების საავიაციო თავდასხმის დროს დაიღუპნენ.

ალ კაიდას იდეოლოგად მიჩნეული ზავაჰირი წარსულშიც ხშირად გამოდიოდა თავისი აუდიო და ვიდეომიმართვებით და მთელი მსოფლიოს მუსლიმანებს აშშ-ზე თავდასხმისაკენ მოუწოდებდა.

1990-იან წლებში აიმან ზავაჰირი გასამხედროებული დაჯგუფების „ისლამური ჯიჰადის“ დამაარსებლად და ლიდერად ითვლებოდა, რისთვისაც ეგვიპტეში დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯეს.

აშშ-ში, გარდა 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზებისა, აიმან ზავაჰრი კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოებში მომხდარი აფეთქებებისთვისაც იძებნება.

გავრცელებული ცნობების თანახმად, 1996 წელს ჩეჩნეთის პირველი ომის დროს აიმან ზავაჰირი რუსმა ხელისუფლებმა ჩეჩნეთში უვიზოდ ყოფნის გამო დააკავეს. მან ექვსი თვე რუსულ ციხეში გაატარა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებს მის კომპიუტერში ნაპოვნი არაბული ტექსტები არ გადაუთარგმნიათ და შემდეგ გაათავისუფლეს.

# „ქართული სული“ დაიხურა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

იუბილეო კონცერტზე სტუდიის აღსაზრდელებისა და „ქართული ხმების“ უფროსი თაობის მიერ შესრულდა როგორც ხალხური სიმღერები, ასევე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

წლევანდელი ფესტივალის სახვით ხელოვნებასაც მოიცავდა. „ქართული სულის“ ორგანიზატორებმა ქართველ მხატვართაგან არჩევანი ყველასთვის გამორჩეულ და საყვარელ შემოქმედზე ზურაბ ნიჟარაძეზე შეაჩერეს. გალერეა „ვერნისაჟში“ ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

საკუთარი იუბილე იზეიმა ანსამბლმა „ფესვებმაც“. 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონსერვატორიის დიდ დარბაზში ანსამბლმა კონცერტი გამართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ანსამბლის როგორც მოქმედი, ასევე ძველი თაობა, ანსამბლი „შვიდკაცა“ და „ფესვების“ ბავშვთა სტუდია.

ფესტივალი „ქართული სული“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ტარდება. „ქართული სული“ საქართველოში 2004 წლიდან იმართება. თავდაპირველად ფესტივალს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ფესტივალის სახე ჰქონდა, თუმცა დროთა განმავლობაში ქართული კულტურის ყველა სფერო მოიცვა. ფესტივალის ორგანიზატორთა სურვილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მისი მომავალ თაობებში პოპულარიზაციაა.

# სამგლოვიარო განცხადებები



ქ.ლანჩხუთის №1 საშუალო სკოლის 1965 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მათი თანაკლასელის, შესანიშნავი პიროვნების, უერთგულესი მეგობრისა და კარგი ოჯახის მამის

**როლანდ ვადაჭკორიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის დედას, მეუღლეს, შვილებს, დედმამიშვილებსა და უახლოეს ნათესავებს.



შვილები ნუგზარი, ნატალია, ნათია, რძლები ტატიანა, ნინო, მზია, მული ნანა, სიძეები ავთო მამაიაშვილი, გიორგი დოხნაძე, თამაზ სიმონიშვილი, შვილიშვილები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნანული ხუნდაძე-კილაძისა**

პანაშვიდი: 17, 18 ივნისს;
დაკრძალვა: 19 ივნისს;
მისამართი: ი.ხვიჩიას 32, I სადარბაზო, II სართული.

შვილები მელსი, მარიკა, გელა, ნუკრი, ზურაბ, მარინე ქარუმიძეები, რძლები იამზე ცუცქირიძე, ამალია ჩაჩანიძე, სიძეები კირილე ხვედელიანი, მიხეილ გელაშვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანასტასია (ტასიკო) ქლენტი-ქარუმიძისა**

პანაშვიდი: 17, 18 ივნისს, 17 საათზე, სოფიკო ჭიაურელის ქ.№19 (ყოფილი ფასანაურის);
გამოსვენება: 19 ივნისს, 15 საათზე, ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 17 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00**, **02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00**, **02.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ.ფ.**"პოლკოვნიკი რედლი"** **03.30** მოამბე **03.50** მხ. ფილმი **"გრძნობით შეპყრობილნი"** (12)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფ. "მილიონერები" **20.00** მხ. ფ. **"ერინ ბროკოვიჩი"** **01.00** მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმღყვდეული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ.**"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00** **შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფ. **"ყბები"** (12) (სუბტ.) **04.35** მხ. ფილმი **"საშობაო ამბავი"** (პ. კრუსი) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** ფარული კამერა **16.10** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.30** საბავშვო კონცერტი "მფრინავი რაში" **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **21.00** **105** წუთი **22.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**09.00**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.30**, **23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამორჩენილი ადამიანები" **11.50**, **21.00** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **12.50**, **19.30** სერ. **"ამანდა ო"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00**, **19.00**, **22.00**, **00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "ფალავნები" **11.00** ჟურნალისტის დღიური **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მოდი ვილაპარაკოთ"** **13.30** კონცერტი – ერთი შორი ოცნება. ბიძინა კვერნაძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფ. **"არსენას ლექსი"** **17.20** მოგაზურობა ბარტ ვულფთან ერთად **17.45** მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მაცი ხვიტია"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფ."ლიტურგია მე-20 საუკუნის საქართველოზე" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**17 ივნისი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6583 | ევრო —2,4216 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208 | რუსული რუბლი — 0,0597 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-28, ღამით — 16-17

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-28, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-23, ღამით — 19-15

**ამინდის პროგნოზი 17 ივნისისთვის**








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ზურაბ ხიზანიშვილი — ორი წლით „ქაისერში“



როგორც ადრე ვწერდით, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ზურაბ ხიზანიშვილი ახლოს იყო იმასთან, რომ თურქულ „ქაისერისფორში“ გადასულიყო და ასეც მოხდა. ჩვენებურმა „ქაისერთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი პრეზენტაცია ქაისერის სტადიონ „ქადირ ჰაშზე“ გაიმართა.

29 წლის ქართველმა ბურთი აკენწლა, გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს მიესალმა, რასაც მცირე პრესკონფერენციაც მოჰყვა:

— ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩამოვედი. თურქეთის ჩემპიონატს ტელევიზორში ვუყურებდი და ყოველთვის მომწონდა. „ქაისერისფორი“ ძლიერი გუნდია და ისეთ გუნდებს, როგორებიც „ფენერბაჰჩე“ და „ბეშიქთაში“ არიან, ბოლო წლებში თანაბრად ეთამაშება. 10 წელი გავატარე ბრიტანეთში, ახლა კი აქ ვარ და ყველანაირად ვეცდები, „ქაისერისფორს“ სარგებელი მოვუტანო, — განაცხადა ხიზანამ.

რა თქმა უნდა, პრეზენტაციაზე იყო „ქაისერისფორის“ მწვრთნელი შოთა არველაძეც, რომელიც ხიზანიშვილთან ერთად საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და „გლაზგო რეინჯერსში“ თამაშობდა და მის შესაძლებლობებს კარგად იცნობს.

პრესკონფერენციაზე ალექსანდრე ამისულაშვილიც ახსენეს, რომელიც შარშან ზაფხულს გადავიდა ანატოლიურ კლუბში და ექვს თვეში „კრასნოდარში“ წავიდა.

— გარწმუნებთ, ამგვარი რამ აღარ მოხდება, ხიზანიშვილი ჩვენთან დარჩება, — გაიხუმრა შოთამ.

ჯერჯერობით უცნობია, რა ნომრით ითამაშებს „ხიზანა“ „ქაისერისფორში“, თუმცა ის კი ცნობილია, რომ მაისურზე „ზურა“ ეწერება.

შეხსენებისთვის, ხიზანიშვილმა 2001 წელს დაიწყო ბრიტანული კარიერა: შოტლანდიური „დანდი“ და „გლაზგო რეინჯერსი“, ინგლისური „ბლექბერნი“, „ნიუკასლი“ და „რედინგი“.

ქაისერელთა ახალწვეულს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 74 მატჩი ჩაუტარებია და ერთი გოლი გაუტანია.

მ. ჟ.

## ვახტანგ მაჭავარიანი „რიგოლეტოს“ უდირიჟორებს



ეკა ირემაშვილი

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი 18 ივნისს ჯუზეპე ვერდის „რიგოლეტოს“ უდირიჟორებს. კონცერტი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ღონისძიებას კლასიკური მუსიკის მოყვარულებს კი წარუდგენს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

სალამოზე საკონცერტო ვერსიით შესრულდება ჯუზეპე ვერდის შესანიშნავი ოპერა „რიგოლეტო“, რომელსაც ააჟღერებს ოპერის თეატრის სიმფონიური ორ-


გაგრძელება მე-8 გვერდზე



# 15 ივნისიდან

**იყიდება**

**100 წიგნი**

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 7**

**მარკესი**

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


**ყველამ გაითვალისწინეთ!**

# ასტროპროგნოზი 17 ივნისისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ეს დღე დიდ წარმატებას გპირდებათ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, კარგ ამბებს ელოდეთ. **კირჩხიბი** — ახალი პროექტი გაამართლებს. **ლომი** — დიდი სიხარული გელით, ამხელა წარმატების იმედი ნამდვილად არ გქონდათ. **ქალწული** — ეს დღე სწავლას და თქვენს თავზე მუშაობას დაუთმეთ. **სასწორი** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ. **მშვილდოსანი** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება საჩუქარიც მიიღოთ. **თხის რქა** — შინაგანად თავს კარგად გრძნობთ, ნატვრის ახდენის დღეა. **მერწყული** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, ეს გახარებთ. **თევზები** — ფულის პრობლემა გაქვთ, ცოტაც მოითმინეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძალიან სწრაფი ტემპი მუსიკაში; 2. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 3. მე-20 საუკუნის ფრანგი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე, კინორეჟისორი; 5. ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 6. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 8. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მე-6 საუკუნის ეკლესია თბილისში; 13. ისრაელის პარლამენტი; 14. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. თიხის ჭურჭლების გამოსაწვავი ქურა.

**თარაზულად:** 1. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 4. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც სამაშველო ნავებია განთავსებული; 11. სამშობლოდან გაძევება; 9. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 10. რაიონული ცენტრი შიდა ქართლში; 12. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 17. სამეფო რეზიდენცია საფრანგეთში; 18. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 20. განსაკუთრებული ნიჭი; 21. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 22. სიტყვის თავსართი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

